ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი  გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან  ხუთშაბათი, 5 მარტი  1998 №31 (566)  ფასი 40 თეთრი

### ჭადრაკის ფედერაციის ყრილობის საინტერესო ფინალი:

**შეხმატკბილებული პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატები: აზმაიფარაშვილი — შუბლაძე და ქვეყნის პრეზიდენტის 1 წლის წინანდელი ბრძანებულების გამო შერისხული ოლიმპიური ჩემპიონი ქალები**

## მოჭადრაკე ქალთა განცხადება



ნანა იოსელიანი, ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია და მაია ჩიბურდანიძე

მასმედია აქტიურად გამოეხმაურა ჭადრაკის ფედერაციის ყრილობას და ხშირ შემთხვევაში არასწორი ინტერპრეტაცია მისცა ოლიმპიურ ჩემპიონ ქალთა პოზიციას. ამიტომ გადავწყვიტეთ გავაკეთოთ განცხადება, რათა საზოგადოებას მიეწოდოს სწორი ინფორმაცია.

პრესაში ხშირად ფიგურირებს ფრაზა „დიდოსტატი ვაჟები ქალების წინააღმდეგ". მაგრამ ელემენტარულ ანალიზს მხოლოდ ორ დაპირისპირებულ გვართან მივყევართ: ზურაბ აზმაიფარაშვილი და თამაზ გიორგაძე.

ჭადრაკის ფედერაციის ყრილობაზე პრეზიდენტის არჩევისას 2 ძირითადი თემა გამოიკვეთა:

1. რატომ იყვნენ ოლიმპიური ჩემპიონი ქალები ზურაბ აზმაიფარაშვილის კანდიდატურის წინააღმდეგ;

2. ჭადრაკის სასახლის პრივატიზაციის თემა.

იყო მესამეც, რომ იტყვიან, ფანტასტიკის სფეროდან — ოსტატ თამაზ კიკიანის ბრალდება — ავსტრალიაში ქალების გამო გადახვეწილ დიმასთან დაკავშირებით. მართალია, დიმას გვარი ქალებმა ვერ გაიხსენეს, მაგრამ „ბრალდება" სერიოზულია და ცნობილი სატელევიზიო კლიპის გახსენება თუ გვიშველის: „და რა შუაშია აქ გუდაური?"

კიკიანმა ყრილობაზე კიდევ ერთი ბრალდება გამოთქვა კითხვის ფორმით: „როგორ მოხდა, რომ კასპაროვთან ნამუშევარ აზმაიფარაშვილს ქალთა გუნდმა უარი უთხრა მწვრთნელობაზე?" ვპასუხობთ: იმიტომ, რომ გუნდში მნიშვნელოვანია სიმშვიდე და იმიტომაც, რომ დიდოსტატი მილოვი გაცილებით უფრო იაფი ჯდებოდა.

გადავიდეთ სერიოზულ თემაზე.

1. ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი ორგანიზატორულ თვისებებთან ერთად უნდა ფლობდეს მთელ რიგ აუცილებელ ადამიანურ თვისებებს: მას უნდა შეეძლოს დააბალანსოს მთელი საჭადრაკო სამყაროს ინტერესები, უნდა ფლობდეს ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნებას.

ზურაბ აზმაიფარაშვილის პიროვნული თვისებები: ზედმეტი ამბიციურობა, ფეთქებადი, გაუწონასწორებელი ხასიათი (რამაც ოლიმპიადაზე ვაჟთა გუნდში არაერთხელ შექმნა კრიზისული მდგომარეობა), მიკერძოებული მიდგომა პრობლემების გადაწყვეტისას, არაკორექტულობა ადამიანებთან ურთიერთობისას — მეტი რომ არ ვთქვათ, დამაფიქრებელია.

ყოველივე ამან, სამწუხაროდ, საპრეზიდენტო ბრძოლისას გამოკვეთილად იჩინა თავი.

ზურაბს დასაშვებად მიაჩნია ბანდიტად მოიხსენიოს ნონა გაფრინდაშვილი, პროვოკატორად — ნანა იოსელიანი; მისთვის მიუღებელია განსხვავებული აზრი.

საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების გადაკვეთისას ვერ ვიტყვით, რომ აზმაიფარაშვილი საზოგადო მოღვაწის თვისებებს ავლენდეს.

პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, მას ადვილად შეუძლია შეიცვალოს ფედერაცია (ერთი პერიოდი იგი ბოსნიის სახელით ასპარეზობდა). აზმაიფარაშვილს არ ეთაკილება ულტიმატუმი წაუყენოს ფედერაციას: „ოლიმპიადაზე საქართველოს გუნდში იმ შემთხვევაში ვითამაშებ, თუ შეღავათიან ფასებში შევისყიდი ორსართულიან სამთავრობო კოტეჯს წყნეთში". ულტიმატუმი შესრულდა და ზურაბმაც ითამაშა.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მას საგრძნობლად აქვს შელახული საერთაშორისო ავტორიტეტი. სკანდალური ბოსნიის ტურნირის შემდეგ, რომელმაც საჭადრაკო სამყაროს აღშფოთება გამოიწვია, მას სალამს არ ეუბნება მსოფლიო საჭადრაკო ელიტის მნიშვნელოვანი ნაწილი, ბოიკოტს უცხადებენ ორგანიზატორები. ერთი სიტყვით, ღირებულებების მისეული სისტემა სერიოზულ ეჭვს იწვევს. ცნობილია, რომ თავისი კანდიდატურა პრეზიდენტობაზე მაია ჩიბურდანიძემ მხოლოდ აზმაიფარაშვილის განეიტრალების მიზნით დააყენა. ზურაბმა ყველაფერი ეს შესანიშნავად იცის, ეტყობა, ამიტომაც ეცადა წინასაარჩევნო კამპანიის დროს აქცენტი დემაგოგიაზე გადაეტანა — თუ რა ცუდია პრივატიზაცია.

2. რამდენიმე წლის წინ ჭადრაკის სასახლე მოხვდა საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში. ნონა გაფრინდაშვილი და ნანა ალექსანდრია ქონების დაცვის სამინისტროში შეეცადნენ სასახლის პრივატიზების პროცესის შეჩერებას. ცოტა ხანში ჭადრაკის სასახლის პრივატიზაცია კვლავ დადგა დღის წესრიგში.

1996 წლის დეკემბერში ზედიზედ მესამედ მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის მოგებასთან დაკავშირებით ქვეყნის პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანებულება ჭადრაკის სასახლის პრივატიზაციაში ოლიმპიური ჩემპიონი ქალების პრიორიტეტული უფლების აღნიშვნით. ამ ბრძანებულებამ საჭადრაკო სამყაროში საკმაოდ მშვიდად ჩაიარა, თუმცა განსხვავებული აზრიც არსებობდა.

მით უფრო საოცარია, რომ ეს თემა ისტერიული სიმწვავით ამოტივტივდა ერთი წლის შემდეგ, არჩევნების პერიოდში და მაქსიმალურად მომგებიანად გათამაშდა აზმაიფარაშვილის მხარდამჭერთა მიერ:

„მოჭადრაკე ქალებს ჭადრაკის სასახლის პრივატიზაცია სურთ. გასაგებია, ისინიც ფიქრობენ შემოსავლის წყაროზე... მაგრამ მომავალმა თაობამ რა ქნას... აზმაიფარაშვილი კი პატიოსანი კაცია, იგი შემოსავალს არ დაუწყებს დევნას..."

სერიოზული სამუშაო ჩატარდა საიმისოდ, რათა დაეხატათ, ერთი მხრივ, „პატიოსანი აზმაიფარაშვილი", რომელიც ზრუნავს მომავალ თაობაზე, მეორე მხრივ, ხოხა გაფრინდაშვილი და „დანი მისნი", რომელნიც მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობენ, მომავალში ჭადრაკის სასახლეს სამიკიტნოდ გადააქცევენ და მოჭადრაკეებს სასახლეში აღარ შეუშვებენ. ერთი რამ დაავიწყდათ მხოლოდ — პრივატიზაცია ჩვენი მოგონილი ნამდვილად არ არის.

შესანიშნავი იყო კომუნისტური ლოზუნგები, „შესანიშნავია" ლოზუნგიც: „სასახლის პრივატიზაცია არ უნდა მოხდეს. ჭადრაკის სასახლე ფედერაციას!" აზმაიფარაშვილის გუნდმა შესანიშნავად იცის ამ ლოზუნგის სიყალბე: იცის, რომ პრივატიზაციის მატარებელი დაძრულია და მას ვერაფერი გააჩერებს, რომ დღეს თუ ხვალ სასახლე აუცილებლად გაიყიდება, რაც ყრილობაზე გარკვევით დაადასტურეს სპორტის დეპარტამენტის, სახელმწიფო კანცელარიის და პარლამენტის წარმომადგენლებმა. აზმაიფარაშვილმა შესანიშნავად იცის, რომ ფედერაციას, მისი ფინანსური მდგომარეობის გამო, სასახლის შესყიდვის არანაირი შანსი არა აქვს და რომ შენობა ყველა შემთხვევაში კერძო პირების ხელში აღმოჩნდება. საქმე მხოლოდ ისაა, ვინ იქნებიან ეს კერძო პირები. ამას ადასტურებს ისიც, რომ „საიდუმლო სერობაზე", რომელიც არჩევნებამდე თამაზ გიორგაძის ოფისში მოეწყო, პრივატიზაციის „კატეგორიული მოწინააღმდეგე" ზურაბ აზმაიფარაშვილი ჭადრაკის სასახლის პროცენტებს ანაწილებდა.

ჭადრაკის სასახლის პრივატიზაციით ბევრი გავლენიანი და შეძლებული პირია დაინტერესებული და ეს ბუნებრივიცაა. ჩვენ გვიჩნდება ეჭვი: ხომ არ არის აზმაიფარაშვილი სწორედ ერთ-ერთ ასეთ ჯგუფთან დაკავშირებული და რომ ხსენებული დემაგოგია მხოლოდ დროის გაყვანა-გაჭიმვის მიზანს ემსახურება.

ვერც ჩვენ უარვყოფთ იმ ფაქტს, რომ სასახლის პრივატიზებისას გვექნება პირადი ინტერესები. მაგრამ თუ ვინმე ეცდება, ჭადრაკის სასახლეს მაქსიმალურად შეუნარჩუნოს თავისი დანიშნულება, ასეთი ადამიანების რიგში ჩვენც ნამდვილად ვიქნებით.

ჭადრაკის სასახლე პენსიონერთა საჭადრაკო კლუბის მსგავსად მალე შეიძლება სხვების ხელში აღმოჩნდეს და რა ბედი ელის მაშინ ჭადრაკს? აღსანიშნავია ისიც, რომ სასახლე სანახევროდ უკვე გასხვისებულია გრძელვადიანი არენდებით და შემოსავალი ჭადრაკს არ ხმარდება.

რა მოუვიდა პენსიონერთა საჭადრაკო კლუბს, რატომღაც მოჭადრაკე ქალების გარდა ამით არავინ დაინტერესებულა. „ვილაცამ" დაანგრია და აშენებას იწყებს. ეტყობა, ეს „ვილაცა" პენსიონერი მოჭადრაკე ნონა გაფრინდაშვილი რომ ყოფილიყო, „ჭადრაკის ქომაგთა" ყიჟინა ვერის პარკს გასცდებოდა.

ასეთი ყოფილა ცხოვრება.

უნდა ვაღიაროთ, ჩვენ ცხოვრებაში ბრძოლის უნარი საკმარისად არ აღმოგვაჩნდა. მთელი ენერგია სხვა ბრძოლებში დაიხარჯა, სადაც გამარჯვება ქართული ჰიმნით და საქართველოს გაჟღერებით მთავრდებოდა.

**ნონა გაფრინდაშვილი**
**მსოფლიოს 5-გზის ჩემპიონი, 11-გზის ოლიმპიური ჩემპიონი,**
**2-გზის ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი,**
**I საჭადრაკო „ოსკარის" მფლობელი,**
**საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის საპატიო პრეზიდენტი**

**მაია ჩიბურდანიძე**
**მსოფლიოს 5-გზის ჩემპიონი,**
**8-გზის ოლიმპიური ჩემპიონი,**
**4 საჭადრაკო „ოსკარის" მფლობელი**

**ნანა ალექსანდრია**
**მსოფლიოს 2-გზის ვიცე-ჩემპიონი,**
**6-გზის ოლიმპიური ჩემპიონი,**
**ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი,**
**ფიდეს ცენტრალური კომიტეტის წევრი,**
**ფიდეს ქალთა კომიტეტის თავმჯდომარე**

**ნანა იოსელიანი**
**მსოფლიოს 2-გზის ვიცე-ჩემპიონი,**
**5-გზის ოლიმპიური ჩემპიონი**

## ლიგის დაბრუნება

**ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი.**
**პირველი შეხვედრები. 4 მარტი**

CHAMPIONS LEAGUE

## ოთხიდან ოთხი ფრე

ტურინში კიეველთა მეკარე შავკოვსკის ბრწყინვალე თამაშმა „იუვენტუსი" ფრეს დააჯერა

მიუნხენში „ბაიერნმა" „დორტმუნდს" ძელი არ დაუტოვა შეურყეველი, მაგრამ ვერაფერი იხეირა

ლევერკუზენელი ემერსონის სიზმრის ასრულებას „რეალის" ფრანგმა კრისტიან კარემბეუმ შეუშალა ხელი

მონაკოში ფავორიტად „მანჩესტერი" დარჩა. თუმცა არც კონტრშეტევათა ოსტატი „მონაკოა" განწირული

**იუვენტუსი 1:1 დინამო**
0:1 გუსინი (57), 1:1 ინძაგი (76)

**ბაიერნი 0:0 დორტმუნდი**

**ლევერკუზენი 1:1 რეალი**
1:0 ბაინლიხი (18), 1:1 კარემბეუ (74)

**მონაკო 0:0 მანჩესტერი**



REUTERS მონაკოდან

მონაკო — მანჩესტერი. სქოულზმა (მარჯვნივ) და ჯეტუმ ბევრი იბრძოლეს მაგრამ...

## შნაცვლიშვილოდ და შსტეფანიოდ ძალიან ძნელია



**ლევან მოსეშვილი:**

ნაკრები მარტო სამიოთხი კაცისა არ არის, ის ეროვნული გუნდია და მისთვის ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ... გომელსკიმ სტეფანიას და ნაცვლიშვილს დაადგა თვალი...

იხილეთ მეშვიდე გვერდი



სოსო ფრუიძე

## ჭარბი იყო ანთალია...

ბევრ ჩვენს გუნდს ადგილზევე უჭირს საწვრთნელი შეკრების გავლა და საზღვარგარეთული ვოიაჟი თუ დაესიზმრება მხოლოდ. ბევრს უჭირს, მაგრამ არა ყველას. ზოგს უჭირს, მაგრამ არ იმჩნევს და ასე- „ტორპედო" ჩემპიონატის მეორე წრისათვის თვენახევარი ქუთაისში ემზადა, 19 თებერვალს კი სამხრეთ თურქეთში ქალაქ ანთალიაში გაემგზავრა შეკრებაზე. გზაში გატარებულ 72 საათს თუ არ ჩავთვლით, ტორპედოელებმა ზუსტად 10 დღე დაჰყვეს მეზობელ ქვეყანაში. ქუთაისელები გუშინ დაბრუნდნენ და „ტორპედოს" თავკაც სოსო ფრუიძეს გავესაუბრეთ.

— ანთალიაში თავიდან 17 ფეხბურთელით გავემგზავრეთ, მეთვრამეტეს ვახტანგ თურმანიძეს პასპორტი არ ჰქონდა წესრიგში და იგი მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ შემოგვიერთდა. ხუთვარსკვლავიან სასტუმრო „ოფო"-ში დავბინავდით. პირობები უკეთესი არ შეიძლება. ვარჯიში, კვება, დასვენება. ყველაფერი მაღალ დონეზე. მხოლოდ ერთზე დაგვწყდა გული, ცუდ დროს მოგვიწია ანთალიაში ჩასვლა, ძლიერი გუნდები არ დაგვხვდა, მეტწილად ავსტრიის მესამე ჯგუფის და რუსეთის მეორე ლიგის წარმომადგენლები გადიოდნენ სამზადისს. არადა, ჩვენი წამოსვლის წინდღით ანთალიაში მოსკოვის „ტორპედო" და რუსეთის პირველი ლიგის რამდენიმე გუნდი ჩავიდა.

**— ანთალიაში ხომ ძლიერ სპარინგპარტნიორებთან თამაშის იმედი გქონდათ...**

— დიახ, ასე იყო, სწორედ ძლიერებთან გვინდოდა გამოგვეცადა თავი, მაგრამ, გავიმეორებ, ცუდ დროს ჩავედით. ასეც რომ არ ყოფილიყო, მაინც გაგვიჭირდებოდა სასურველი მეტოქის მოძებნა. ეს საქმე ანთალიაში თურმე ე.წ. შუამავლების ხელში ყოფილა, თუ გარკვეული საფასური არ გადაიხადე, ისე არავინ არავისთან გათამაშებს. აი, ჩვენც ყოველ საკონტროლო შეხვედრაში 200-200 დოლარის გადახდამ მოგვიწია.

**— პირველი 1:1 მოგებით ვის ეთამაშეთ?**

— ერთ-ერთ სამოყვარულო გუნდს, რომელიც ქალაქის პირველობაზე გამოდის. პირველ ტაიმში 13:0 იყო. სამეორეოდ მეტოქეს ჩვენი მეკარე დათო მამარდაშვილი ვათხოვეთ. მანაც მხოლოდ სამი გაუშვა. თუმცა, უნდა ითქვას, თამაში ვადაზე ადრე შეწყდა, გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა. რუსეთის მეორელიგელ კამეროვის „კუზბასთან" ცუდად არ გვითამაშია, ვცობდით კიდეც, მაგრამ ფატალურად არ გვიმართლებდა. ბევრი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ. 1:3 დავმარცხდით. ჩვენგან იონანიძემ გაიტანა. ამის შემდეგ ორჯერ ასევე რუსეთის მეორელიგელ ნიჟნევორტოვსკის „სამოტლორთან" მოგვიხდა გაჯიბრება. ორივეჯერ მოვიგეთ. პირველად 3:0, თანაც საკმაოდ კარგ სტილში. ორი მეგრელაძემ გაიტანა, ერთი იონანიძემ. წამოსვლის წინა დღეს 1:0 ვიმარჯვეთ. ვაჩიბერაძემ შეაგდო.

**— კმაყოფილი ხართ ამ შეკრებით?**

— რა თქმა უნდა. მართალია, უკეთესი იქნებოდა, უფრო ძლიერ გუნდებთან რომ მოგვცემოდა საქმე, მაგრამ არც ასე იყო ცუდი. ბიჭებმა ატმოსფერო შეიცვალეს, ნორმალურ პირობებში ვარჯიშის გემო იგრძნეს. რუსებთან თამაშიც წაგვადგა. გუნდმა საკუთარი ძალა ირწმუნა, შემადგენლობის დაყენების თვალსაზრისით საეჭვო აღარაფერი დარჩა — ძირითადი ბირთვი უკვე ჩამოყალიბდა.

**— ტრავმებს ხომ არ შეუწუხებია ფეხბურთელები?**

— არა. ამ მხრივ ყველაფერი წესრიგშია. ყველა სრულ მზადყოფნაშია.

**— ბოლო-ბოლო, გუნდში ახლები ვინა გყავთ?**

— დათო ჯანაშიაზე ახალი არ ითქმის, არც არჩილ ჩხაბერიძეზე, რომელიც სანქტ-პეტერბურგიდან დავიბრუნეთ. დავიმატეთ გია ჩხაიძე, ირაკლი ვაშაკიძე და სამგურალელი ლევან ქობულაძე. ფარმკლუბიდანაც ავიყვანეთ ბიჭები.

**— მეორე წრეს „ლოკომოტივთან" გასვლითი თამაშით იწყებთ...**

— ჩვენი მიზანი ამ ჩემპიონატში პირველ სამეულში მოხვედრაა. ამას ძალების სრული მობილიზებით თუ შევძლებთ. დაწყებაზე მართლაც ბევრია დამოკიდებული. „ლოკომოტივთან" თამაშს განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება.

**იუზა კაციტაძე**

# შორია სანტა ბარბარამდე?

„სანტა ბარბარამდე" ჯერ ბევრი უკლია, თუმცა მარიებსა თუ კასანდრებს ჯიბეში ჩაისვამს — მალე ზუსტად ორი წელი შესრულდება იმ დღიდან, როცა ინგლისურ გაზეთებში პირველად გამოჩნდა ცნობა „მანჩესტერ სიტის" ნახევარმცველის, გიო ქინქლაძის სხვა კლუბში მოსალოდნელი გადასვლის შესახებ. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, „სიტი" პრემიერლიგიდან პირველ დივიზიონში ჩამოქვეითდა, ახლა კიდევ უფრო ქვემოთ მიიწევს, მაგრამ ქინქლაძე ჯერ კიდევ „სიტის" ფეხბურთელია. ამიტომაცაა, როცა ჩემი მეგობრის შვილი, 13 წლის გუკა, ინგლისის ქრისტიანული სკოლების პირველობაზე რომ თამაშობს, გიოსთან გაცნობას მთხოვს, ვპასუხობ — 3-4 წელი მოიცადე და სადმე „ჭ" ლიგაში ეგებ თავად შეხვდე, როგორც მეტოქეს-თქო.

არადა, მართლაც როდემდე? როდემდე შეიძლება, ვილაც-ვილაცეების პატივისცემის გამო ქინქლაძე ამ უბედურ „სიტიში" იყოს? რა უნდა ინგლისის პირველ დივიზიონში კაცს, რომელსაც შეუძლია დაამტკიცოს, რომ საქართველოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელია?

და აი, „სიტიში" ჯო როილი მოვიდა — მეექვსე მწვრთნელი ბოლო 19 თვეში. და მგონი, გვეშველა. „არა, ქინქლაძის გაყიდვა ჩემი თვითმიზანი როდია" — აცხადებს იგი, როცა მორიგი მატჩის შემდეგ გასახდელიდან გამოსულს გულშემატკივრების წყევლა ესმის — გიოს თავი გაანებეო. თვითმიზანი, ცხადია, არ არის, მაგრამ ქინქლაძის გაყიდვა პრაქტიკულად გადაწყვეტილი საქმეა! და თქვენ გგონიათ, მხოლოდ ჩვენ გვიხარია ეს ამბავი?

ჩვენებურთაგან განსხვავებით, აქაური ფეხბურთელები, მწვრთნელები და თუნდაც პოლიტიკოსები პრესასთან ურთიერთობაში იმით როდი იფარგლებიან, წერა ისწავლეთო. აქ ფეხბურთელები, მწვრთნელები და თვით პრემიერმინისტრიც კი, კვირაში ერთხელ მაინც, საკუთარი სტატიებით ამშვენებენ გაზეთის ფურცლებს.

გუშინდელ და გუშინწინდელ აქაურ გაზეთებში გავრცელებული ინფორმაცია კი, თითქოს გიომ „ლივერპულთან" კონტრაქტს ხელი მოაწერა, ნამდვილად ვერ გეტყვით რისთვისაა დაწერილი. „არა, კაცო, არავითარი კონტრაქტი არ გამიფორმებია „ლივერპულთან", ყველაფერი გაზეთების მონაჩმახია. რაში სჭირდებათ ამგვარი ჭორების დაბეჭდვა, ვერაფრით ვხვდები. ხომ იცით, ფრენსის ლი სადღაც გაუჩინარდა და ერთ კვირაში გამოჩნდება. ყველა დაინტერესებული კლუბის ხელმძღვანელიც მას ელოდება, ჩამოვა და მოილაპარაკებენ. მათ შორის „აიაქსიცაა", მაგრამ ლის გამოჩენას არ დაალდა საშველი — გიო ქინქლაძემ ეს გუშინ მითხრა, ტელეფონით საუბრისას. ასე რომ, მშვიდად იყავით, როცა საქმე ნამდვილად მოგვარდება, მაშინვე გაცნობებთ.

**ზურაბ მექველია ლონდონიდან**

# ზემოდან იწყებენ

ეს ძველად იყო, გინდოდა თუ არა, ახალი სეზონის დაწყებამდე სტადიონი წესრიგში უნდა მოგეყვანა. მერე ჩამოვიდოდა კომისია და ნამუშევარს შეგიფასებდა. ბიჭი იყავი და არ შეგესრულებინა შემმოწმებელთა მითითებები, სანქციები არ აგცდებოდა. ასე ძველად იყო...

ქუთაისის სტადიონის, „გივი კილაძის" მაგალითზე ვთქვათ, კაპიტალურს თავი დავანებოთ, აგერ რვა წელიწადია, აქაურობას მიმდინარე შეკეთებაც კი არ ღირსებია. რა დღეშიც იქნება სტადიონი, ადვილი წარმოსადგენია, მაგრამ ყველაზე სავალალო მდგომარეობაში მაინც ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო შენებაა. წყალგამტარი სახურავიდან დაწყებული, ლამის მთლად ჩამოცვენილი ბათქაშით და მოშლილი სანიტარული კვანძებით დამთავრებული — ყველაფერი ადამიანთა გულგრილობასა და უმწეობაზე მეტყველებს. მოკლედ, შენობის დანგრევას აღარაფერი უკლია და თუ საქმეს სასწრაფოდ არ მიხედა, მაშინ იკითხეთ.

— ჩვენც ვიცით ამის შესახებ. მდგომარეობა მართლაც კატასტროფულია, დაყოვნება აღარ შეიძლება და უახლოეს დღეებში სტადიონზე მშენებლებს შემოვიყვანთ — გვითხრა საფეხბურთო კლუბ „ტორპედოს" ფინანსურმა მენეჯერმა გელა მერკვილაძემ — სამუშაოები რამდენიმე ეტაპად წარიმართება. შენობის თუნუქით გადახურვას დავიწყებთ. ხარჯთაღრიცხვა შედგენილია, ამ საქმეს 32 ათასი ლარი დასჭირდება. სახურავს მორჩებით თუ არა, შელესვა-შეღებვას შევუდგებით, შენობის ფასადს უნდა მივხედოთ, და ასე, თანდათან... მაგრამ თუ ღმერთმა ქნა და „ტორპედომ" უეფაზე თამაშის უფლება მოიპოვა, სამუშაოების ტემპის დაჩქარება მოგვიწევს, რაც მხოლოდ საკუთარი ძალებით ნამდვილად გაგვიჭირდება. აქ სხვებმაც უნდა შეგვიწყონ ხელი და პირველ რიგში კლუბის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, ქალაქის მერიამ.

— 2 მაისს ქუთაისში მოსკოვის „ტორპედოს" ვეტერანები ჩამოდიან სათამაშოდ. ასე თუ დახვდით...

— ამ დროისთვის შენობის გადახურვა დამთავრებული იქნება და ეგრეთ წოდებული კოსმეტიკური სამუშაოებიც. გარდა ამისა, უკვე მოვილაპარაკეთ სატრაქტორო ქარხანასთან, რომელიც წარდგენილი პრეს-ფორმით სკამებს დაგვიმზადებს. თავიდან ლოჟაში გვინდა დავამონტაჟოთ, დაახლოებით 400 ადგილზე. ტაბლოსაც მოვაწესრიგებთ. 3500 ნათურაზე შეკვეთა უკვე მივეცით.

**იუზა კაციტაძე**






## ფეხბურთის რუკასთან



**რუსეთის** ერთ-ერთი წამყვანი გუნდის, ვლადიკავკაზის „ალანიას" პრეზიდენტის ბათრაზ ბითაროვის 11 წლის ქალიშვილი ზალინა გამტაცებლებმა დააბრუნეს. დეკემბერში სკოლიდან გატაცებული გოგონა 66 დღის განმავლობაში ვლადიკავკაზის შემოგარენში, ჰყავდათ გადამალული და 3 მილიონ დოლარს ითხოვდნენ. ცნობილი არაა, გადაიხადა თუ არა ოჯახმა ფული. დაპატიმრებული ჯერ არავინაა.

**საფრანგეთის** ჩემპიონის, „მონაკოს" მწვრთნელი, წარსულში ცნობილი ნახევარმცველი ჟან ტიგანა კლუბში სულ მცირე, 2000 წლამდე იმუშავებს. ტიგანას ძველი ხელშეკრულების ვადა ივნისში ეწურებოდა, მაგრამ კლუბის პრეზიდენტ ჟან-ლუი კამპორასთან კონფიდენციალური შეხვედრის შემდეგ განაცხადა, „მონაკოში" ვრჩები და აქ თავს ერთობ ბედნიერად ვგრძნობო. არადა, ჭორების თანახმად, ტიგანა გუნდიდან უნდა წასულიყო და ის კი არა, ემე ჟაკეს წასვლის შემდეგ ანუ მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებისთანავე საფრანგეთის ნაკრებს უნდა ჩადგომოდა სათავეში. აღსანიშნავია, რომ ტიგანას „პარი სენ ჟერმენიც" ეპატიჟებოდა.

**იტალიური** „იუვენტუსის" ფრანგი ნახევარმცველი დიდიე დეშამპი ამბობს, რომ ხმები, თითქოსდა იგი მომავალი სეზონიდან ლონდონურ „ჩელსიში" გადადის, სიცრუეა. „სიამოვნებით მოვაწერდი „იუვესთან" ხელს 2001 წლამდე, რამეთუ იქ თავს ძლიერ ბედნიერად ვგრძნობ და წასვლის მიზეზი არ მაქვს. ჭორებმა ძალიან გამაღიზიანა. კლუბი ყველა მოთხოვნას მიკმაყოფილებს და ვგრძნობ, რომ მასთან ბევრი ტიტულის მოპოვება შემიძლია," — თქვა დეშამპმა.

**ინგლისის** პირველი დივიზიონის გუნდის, „შეფილდ იუნაიტედის" მწვრთნელის თანამდებობიდან გადადგა ნაიჯელ სპეკმენი, მაგრამ ის სეზონის ბოლომდე ფეხბურთელად დარჩება. სპეკმენი ადრე თამაშობდა „ჩელსიში", „ლივერპულში" და „გლაზგო რეინჯერსში".

**ბელგიის** ჩემპიონატის აუტსაიდერი „ანტვერპენი" გერმანელ მწვრთნელს გეორგ კესლერს იუგოსლაველი რატკო სვილარით ცვლის. სვილარი აქამდე კესლერის ასისტენტად მუშაობდა. როგორც კლუბის მდივანმა პოლ ბისტომ ტელეინტერვიუში განაცხადა, კესლერმა თავად დაასახელა სვილარი თავის შემცვლელად. „იმედი მაქვს, რომ მოთამაშეთა ჯგუფი უფრო დისციპლინირებული გახდება," — თქვა მცველმა გერტ ემერეშტმა. „ანტვერპენს" მიმდინარე სეზონში 16 დამარცხება და სამად სამი გამარჯვება აქვს, კესლერი კი ბელგიაში უკვე მეექვსე მოხსნილი მწვრთნელია. მისი წინამორბედნი იყვნენ „ლოკერენის" ფი ვან ჰოფი, „სტანდარდის" აად დე მოსი, „ბევერენის" პოლ იუნისი, „ანდერლეხტის" რენე ვანდერეიკენი და „მოლენბეკის" დანიელ რენდერსი.

**ინგლისური** „ქოვენთრი სიტის" მოუსვენარი გარემარბი, 29 წლის ჯონ სალაკო ჰოლანდიურ „ფეიენოორდში" გადავიდა. „ქოვენთრიმ" მასთან ხელშეკრულების გაგრძელება აღარ ისურვა.

**დანიის** ნაკრების წევრი, ნახევარმცველი კლაუს ტომსენი ინგლისური „ევერტონიდან" 500 ათას გირვანქად ანუ 824 ათას დოლარად მშობლიურ „კოპენჰაგენში" გადადის. 27 წლის მოთამაშე ახლა დანიის დედაქალაქშია და ახალი კონტრაქტის პირობებს აგვარებს. იგი 1997 წლის იანვარში „ევერტონის" ყოფილმა, აწ კი „მანჩესტერ სიტის" მწვრთნელმა ჯო როილმა „იფსვიჩისგან" იყიდა. ლივერპულელთა ახალმა თავკაცმა ჰოვარდ კენდალმა მას ძირითადში ადგილი ვეღარ უპოვა და დანიის ნაკრებში ადგილის დაკარგვით დაშინებული ფეხბურთელიც სასწრაფოდ გაეცალა ინგლისს.

**იტალიელმა** ნახევარმცველმა, „ჩელსიში" მოთამაშე რობერტო დი მატეომ თავი გადაიხოტრა. როდესაც დი მატეო ლონდონის „ჰითროუს" აეროპორტში, „ჩელსისთან" ერთად სევილიაში, თასების თასის მატჩზე გასამგზავრებლად [illegible] თანამემამულემ და თანაგუნდელმა [illegible]ნფრანკო ძოლამ იხუმრა: „თმებითაც უშნო იყო, ახლა კი დახედეთ, საერთოდ რას დამსგავსებია". ახლა „ჩელსის" თავგადახოტრილთა შორის არიან დი მატეო, ფრანკ ლებეფი, ჯანლუკა ვიალი და მაიკლ დაბერი.

**ესპანეთის** ჩემპიონატის ორშაბათის მატჩში „ბარსელონამ" 4:2 მოუგო „რასინგს". მოგებულთაგან ორი გოლი გაიტანა ბრაზილიელმა რივალდომ, ორიც მისმა თანამემამულემ სონი ანდერსონმა. „რასინგის" გოლების ავტორები გახლავან ფერნანდო კორეა და ალბერტო ლოპესი.

**ესპანელი** აიტორ კარანკა საავადმყოფოდან კი გამოეწერა, მაგრამ ექიმებმა თქვეს, რომ იგი მომავალ სეზონამდე ალბათ ვეღარ ითამაშებს. საქმე ის გახლავთ, რომ ესპანეთის ნაკრების ყოფილი მცველი გულს უჩივის. მას გულის ტკივილი და არითმია აწუხებს, ამბობენ კუნთის ვირუსი სჭირსო. 24 წლის ფეხბურთელი შიშობდა, რომ ინფარქტი მოუვიდოდა, მაგრამ მისი შიში საბედნიეროდ უსაფუძვლო გამოდგა. ექიმები ამბობენ, რომ კარანკას რამდენიმე თვიანი დასვენება სჭირდება, მაგრამ სნეულ ცხოვრებას არ უწინასწარმეტყველებენ. კარანკა ამ სეზონის წინ ბილბაოს „ატლეტიკოდან" მადრიდის „რეალში" გადავიდა და „სამეფო გუნდის" ძირითადში მოხვედრა ერთობ გაუჭირდა. ალბათ ამიტომაცაა, რომ წელიწადზე მეტია იგი ესპანეთის ეროვნულ გუნდში აღარ გამოუძახიათ.

**შვეიცარიაში** უეფამ დაასახელა თავისი და ფიფას აღმასრულებელი კომიტეტების წევრთა კანდიდატები. ექვსი სკამის დასაკავებლად იბრძვიან: უეფას ვიცე-პრეზიდენტი თურქი სენეშ ერზიკი, ირლანდიელი დეს კეისი, რუსი ვიაჩესლავ კოლოსკოვი, ჩეხი ფრანტიშეკ ჩვალოვსკი, შვეიცარიელი ჯანჯორჯო სპიესი, ესპანელი ანხელ მარია ვილარ ლონა, ინგლისელი კით უაიზმენი, ხორვატი მარკო ლეშიჩი, ავსტრიელი ბეპო მაუჰარტი, აზერბაიჯანელი ფუად მუსაევი, პორტუგალიელი ჟილბერტო პარეა მადიალი, რუმინელი მირჩა სანდუ და იუგოსლაველი დან ტანა.

**რუმინეთის** ჩემპიონატის 21-ე ტურის ბოლო შეხვედრაში „სტიაუამ" 3:1 დაამარცხა „ჩაჰლაული". ახლა პირველ ადგილზე 51 ქულით პირველ ადგილზეა „სტიაუა", მეორეზე 48 ქულით ბუქარესტის „რაპიდია", ხოლო მესამეზე 43 ქულიანი „ოცელული" გახლავთ.

**სამხრეთ** აფრიკის ნაკრების დროებითი მწვრთნელი ჯომო სონო ოფიციალურად გადადგა თანამდებობიდან. 42 წლის პოპულარული სპეციალისტი ორი თვის მანძილზე ხელმძღვანელობდა გუნდს, რომელიც აფრიკის თასის ფინალში გაიყვანა. მან განაცხადა, რომ თუმც ფეხბურთელები დარჩენას თხოვდნენ, მაინც წავიდა, რათა მის ადგილზე ფრანგი ფილიპ ტრუსიე მივიდეს. მართალია ტრუსიეს კონტრაქტზე ჯერ ხელი არ მოუწერია, მაგრამ ამბობენ ეს ფორმალობაა, რომელიც მომდევნო კვირაში, პარიზში მოგვარდებაო. „რისთვისაც მოვედი თანამდებობაზე, მივაღწიე" — თქვა სონომ, რომელსაც მეტსახელად სამხრეთ აფრიკული ფეხბურთის შავ პრინცს უწოდებენ.

**ფრანგული** „მეცის" ხელმძღვანელებს კანადელი ტომას რაძინსკის შეძენა მოესურვათ. რაძინსკი ბელგიურ „ეკერენში" თამაშობს. როგორც ირკვევა ამავე მოთამაშის შეძენა სურთ ჰოლანდიურ „ფეიენოორდს" და ფრანგულ „კანს", მაგრამ ოფიციალურად საკითხი მარტო „მეცმა" წამოჭრა. რაძინსკი 24 წლისაა, იგი „ეკერენში" 1994 წელს მივიდა და წესით იქ 2000 წლამდე უნდა დარჩეს.

**ინგლისური** „ნიუკასლის" ერთმა ფეხბურთელმა კით გილესპიმ მეორეს, ალან შირერს ჩხუბი გაუმართა და ახლა, ეტყობა, „მანჩესტერ იუნაიტედში" გადადის. გილესპის კონტრაქტის ვადის გასვლამდე 16 თვე რჩებოდა. მან უარი განაცხადა განემარტა, რატომ უთაქა შირერს ბარიდან გამოსვლისას. „ნიუკასლის" მწვრთნელი კენი დალგლიში აღშფოთებულია. იგი ორივე მოთამაშესთან საგანგებო საუბარსა და მკაცრი ზომების მიღებას აპირებს. საგულისხმოა, რომ შირერმაც ლაზათიანად უპასუხა გილესპის, თავი ატკინა და იგი საავადმყოფოში მოხვდა. ეს ამბავი დუბლინში მოხდა. მას ასისტენტი მწვრთნელი ტერი მაკდერმოტიც ესწრებოდა.

UEFA CUP

# ლენინის სახე ამსტერდამ არენაზე

## უეფას თასის 1/4 ფინალის პირველი მატჩების მიმოხილვა

### აიაქსი 1:3 სპარტაკი

**აიაქსი: ვან დერ სარი, რუდი (მელხიოტი 81), ბლინდი, ოლისე, ფ. დე ბური, რ. დე ბური, გორი (დანი 69), ვიჩზე, ბაბანგიდა (მაკართი 76), არველაძე, ლაუდრუპი**
**სპარტაკი: ფილიმონოვი, გორლუკოვიჩი, ხლესტოვი, ანანკო, რომაშჩენკო, ალენიჩევი, ტიტოვი, კეჩინოვი, ტიხონოვი, შირკო (პისარევი 80), ბუზნიკინი (ციმბალარი 46)**
**0:1, 0:2 შირკო (26, 52), 1:2 არველაძე (57), 1:3 კეჩინოვი (84)**

— მოსკოვის „სპარტაკს" სამი თვეა, მნიშვნელოვანი შეხვედრა არ ჩაუტარებია. გუნდი დასვენებულია და ეს იმას ნიშნავს, რომ მას ჩვენთან შეხვედრისთვის სრული მობილიზება ძალუძს.

სამშაბათის შეხვედრის წინ „აიაქსის" მწვრთნელი მორტენ ოლსენი ამ სიტყვებს რომ ამბობდა, ჩანდა, საკუთარი თავისა და გუნდის რწმენა შერყეოდა.

ახლა უკვე ცხადია, რომ „აიაქსი" „სპარტაკს" მოშვებული დაუხვდა. რამ შეცვალა ასე ამსტერდამელები? ნუთუ მხოლოდ ლიტმანენის არყოფნამ. ეს ძნელად დასაჯერებელია.

მართალია. „სპარტაკმა" ბოლო ოფიციალური მატჩი დეკემბერში, „კარლსრუეს" წინააღმდეგ გამართა. ევეცაა, რომ მოსკოველები მოსამზადებელ პერიოდში ებრაულ „ჰაპოელთან" თუ „მაკაბისთან" თამაშს ამჯობინებდნენ. და ეს მაშინ, როცა „აიაქსი" ამხანაგურადვე „პანათინაიკოსს", „ლევერკუზენს", „შტუტგარტს" და „მონაკოს" ეჯიბრებოდა. მაგრამ რამ მოღალა ამსტერდამელები თებერვალში? ნუთუ მხოლოდ „ვალვაიკებთან" და „ნაიმეგენებთან" დაჭიდებამ. არა. „აიაქსს" ჰქონდა ერთი უმნიშვნელო, მაგრამ მაინც პრინციპული მატჩიც — „ეინდჰოვენთან".

ის, რაც „აიაქსმა" შემოდგომაზე მოიმოქმედა, მხოლოდ იღბლიანთა ხვედრია. დიახ, ამსტერდამელებმა უდინეში 1:2 წააგეს, მაგრამ მერვედფინალში, სადაც „ბოხუმი" ელოდათ, მაინც გავიდნენ. „ბოხუმთან" რაღა? ბუნდესლიგის აუტსაიდერმა ჰოლანდიის უპირობო ლიდერს ორ-ორი გოლი გაუტანა, რაღაც მომენტში ორივე მატჩსაც უგებდა, მაგრამ მაინც დამარცხდა. და განა იღბალი არ იყო, რომ პირველ წრეში „აიაქსს" ისეთი გუნდი შეხვდა, რომელსაც შეუძლია 1:9 წააგოს? იყო. და რას ამბობდა ოლსენი რუსებთან შეხვედრის წინ? — „სპარტაკი" ულამაზეს ფეხბურთს თამაშობს და ჩვენ მის დასამარცხებლად ორი იღბლიანი დღე გვჭირდებაო. ისევ იღბალი, ფორტუნა, რომელმაც ამჯერად „სპარტაკს" გაუღიმა. ასე იმიტომ მოხდა, რომ რუსები იღბალის ნაცვლად საკუთარი ჯამართული თამაშის იმედზე იყვნენ.

არადა, მეორე ტაიმის შუაწელისკენ ოლსენის ნახევარმოედნიანი გარღვევისა და გორის პასის შემდეგ შოთამ ორბურთიანი დეფიციტი მინიმუმამდე რომ დაიყვანა, ისევ შეიქმნა „უდინეზეს" და „ბოხუმის" განმეორების ილუზია. დიახ, საჯარიმოში შეჭრილი შოთა ფეხებში ჩავარდნილ მეკარე ფილიმონოვს გადაახტა და წაიქცა, მაგრამ ავსტრიელი თანმსაჯი ისე გაშეშებულიყო, თითქოს მავზოლეუმის ყარაულში იდგა, არბიტრმა კი ჩვენებურს ყვითელი ბარათი უჩვენა.

რა იყო აქამდე? ტიტოვის პასებით გატანილი შირკოს ტყუპი გოლი. რამ შვა ეს გოლები? „აიაქსის" უხერხემლო ნახევარდაცვამ, ისედაც გამოხშირული დაცვის წინ-წინ სირბილმა და, რა თქმა უნდა, სტუმართა მონდომებამ. არახალია, რომ ამსტერდამელები დაცვაში ზედმეტი კაცის, მეკარე ვან დერ სარის იმედად არიან. მარტოკა დარჩენილს შეუძლია, სამ-სამ სპარტაკელს ორი ცდიდან ერთხელ გაუმკლავდეს. მაგრამ იგი ჩინებული მეკარეა და არა ჯადოქარი.

თამაშის მიწურულს მოსკოველები სულაც აპამპულავებდნენ მასპინძლებს. მასამე გოლიც „სპარტაკმა" „აიაქსს" კი არა, სწორედ მეკარეს გაუტანა, მთელი დაცვა იდგა და ელოდა, ვან დერ სარის მორიგ სასწაულს.

— ანგარიში გუნდებს შორის დიდ განსხვავებას ბოლომდე ვერ გამოხატავს. ჩვენმა თამაშმა გაამართლა. შანსები გამოვიყენეთ — თქვა „სპარტაკის" მწვრთნელმა ოლეგ რომანცევმა.

„აიაქსის" თავკაცმა მორტენ ოლსენმა კი სტუმრებზე ესლა განაცხადა — ისინი ისეთი კარგები აღმოჩნდნენ, როგორც მოველოდი, მაგრამ მოგება ჩვენც გავუიოლეთ. ბავშვურ შეცდომებს ვუშვებდით, მაგრამ „სპარტაკიც" კარგად გვიტევდაო.

და შოთა? როგორც ყოველთვის, საუკეთესო იყო. შინაურ მლვდელს შენდობა არა აქვსო და, „აიაქსის" ადრინდელი თამაშების ხილვისას ჩვენებურის გამორჩევა კი გვახარებდა, მაგრამ სხვებზე ესოდენი აღმატება ძალუმად არ გვიგვრძნია.

სამშაბათს შოთა მარტოკა მებრძოლი იყო. ნახევარდაცვაშიც დამაშვრალი ყველაზე მეტ პრობლემებს უქმნიდა მეტოქის დაცვას. „აიაქსის" მეორასე საევროთასო მატჩში შოთა არველაძემ მეშვიდე გოლი გაიტანა წლევანდელ უეფას თასზე. შოთას ერთი წრეც არ გამოუტოვებია უგოლოდ, შვიდი შეხვედრიდან კი მხოლოდ ორში ვერ გაიხარა.

იხარეს „სპარტაკის" ქომაგებმა, ხელში ლენინის თავიანი დროშები რომ ეჭირათ.

მოსკოვში რუსები მეორედ გაფრთხილებულ მცველ სერგეი გორლუკოვიჩს მოისაკლისებენ. სამაგიეროდ მათი უტყუარი მოკავშირე „დინამოს" სტადიონის მოშუშული გაზონი იქნება.



REUTERS ამსტერდამიდან

პენალტის არდანიშვნამ შოთა დაამწუხრა, გორლუკოვიჩი კი გაახარა

### ინტერი 1:0 შალკე

**ინტერი: პალიუკა, კოლონეზე, ფრეზი, გალანტე (კოე 10), სარტორი, ძანეტი, სიმეონე, ვინტერი, ჯორკაეფი (სამორანო 72), რონალდო, მორიერო**
**შალკე: ლემანი, ლატალი (ანდერბრიუგე 86), დე კოკი, ტონი, ლინკე, ბუსკენსი, ვან ჰუგდალემი, ნემეცი, აიკელკამპი (ინგეროსი 73), ვილმოტსი, მაქსი**
**1:0 რონალდო (16)**

— დღეს რევანში უნდა ავიღოთ. ეს აუცილებელია. მათ „სან-სიროზე" ერთხელ უკვე გაიხარეს, მეორედ ამას არ დავუშვებთ. მართალია, ეს მატჩი წინანდელზე ნაკლებმნიშვნელოვანია, მაგრამ... „ინტერმა" აუცილებლად უნდა მოიგოს — სწორედ ასე განაცხადა გამარჯვების სურვილით ანთებულმა ივან სამორანომ, რომელსაც ამ სეზონში მოუწია, ძირითადში ადგილი რონალდოსთვის დაეთმო.

რევანში შედგა — მილანელებმა მართლაც დაძაბული შეხვედრა მოიგეს, მაგრამ ამით ნახევარფინალში გასვლა სულაც არ გაუნაღდებიათ. გელზენკირხენში ძალიან დაძაბული მატჩი იქნება.

მანამდე კი... თამაშის დაწყებას სტუმართა უხეშობა მოჰყვა — რონალდო, რომელსაც უეფას თასის მფლობელთა მწვრთნელი ჰუუბ სტევენსი გაათმაგებულ ყურადღებას აქცევდა, უმალ გერმანელთა მეურვეობის ქვეშ მოექცა, ხშირ შემთხვევებში კი ბრაზილიელს უხეშადაც ეთამაშებოდნენ. მარკ ვილმოტსი პირველსავე წუთზე ეუხეშა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს. გააფრთხილეს კიდეც.

— მისი თამაშიდან გამოთიშვა რომ რთული იქნებოდა, ვიცოდი, მაგრამ თუ ვერაფერს მოვახერხებდით, არ მეგონა. რონალდო მართლაც მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია, ამაში დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი — თქვა მატჩის შემდეგომ სტევენსმა. ჰოლანდიელი ცამდე მართალი იყო — ბრაზილიელის გაჩერება ვერც ლანდივით აღევნებულმა დე კოკმა და ვერც სხვა გელზენკირხენელმა შეძლო. რონალდო შეუჩერებელი იყო და გარდა იმისა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა, საჯარიმოში მისგან თავგზააბნეული ორი, ხანდახან სამი მეტოქის ნახვაც ხშირად შეიძლებოდა.

გოლი ჯორკაეფმა შექმნა — ფრანგმა ნახევარმცველმა ბევრი იარა თუ ცოტა, რონალდოც მოძებნა, მან კი ცრუმოძრაობით ორი მეტოქე ჩამოიშორა და გაიტანა — ლემანი ბურთს შესწვდა, მაგრამ მისი შეჩერება ვერ შეძლო. რაკი სტუმართა მეკარე ვახსენეთ, აქვე მოვახსენებთ, რომ სეზონის ბოლოს იგი „შალკედან" წასვლას აპირებს. კონკრეტულად რომელ გუნდში, უცნობია. გუნდის მენეჯერმა რუდი ეზაუერმა კი განაცხადა, ლემანის ნაცვლად „ბარსელონაში" მოთამაშე ჰოლანდიელი რუუდ ჰესპის და „ლესტერის" ამერიკელი მეკარის, კეისი კელერის მოწვევას შევეცდებითო.

ისედაც დაძაბულ შეხვედრას რონალდოს გოლმა მეტი სიმწვავე შემატა, სტუმართა კონტრშეტევებიც გაცილებით სახიფათო გახდა, ერთ-ერთ მათგანს კინაღამ პალიუკას კარის აღებაც მოჰყვა — მარტინ მაქსის თაური ძელს ვერ ასცდა. ისე, ძელების და ხარიხების მხრივ ანგარიში საყაიმო იყო. რონალდო სანამ შეაგდებდა, სტუმართა გვარიანად განერვიულებაც მოახერხა — ბურთი ამ შემთხვევაშიც ძელმა მოიგერია.

გამარჯვება თავისთავად მნიშვნელოვანი და ძალიანაც საჭირო იყო, მაგრამ იგი დამშვიდების საფუძველს არ იძლევა. წინ საპასუხო შეხვედრაა, ერთბურთიანი უპირატესობით კი, დამეთანხმებით, თავი ქუდში ვერ გექნება — განაცხადა მილანელთა ჩილელმა თავდამსხმელმა სამორანომ, ბოლოში ნაღდი მომენტი რომ არ გამეფუჭებინა, ნახევარფინალში გასვლის უფრო მეტი შანსი გვექნებოდაო. გახსოვთ, ალბათ, უეფას თასის ბოლო გათამაშების ფინალის განმეორებით შეხვედრაში სამორანომ ძალიან საჭირო გოლი შეხვედრის ბოლო ათწუთეულში გაიტანა. ახლაც 82-ე წუთზე მას ისევ მიეცა ლემანის დაღონების შანსი, მაგრამ მეკარემ სასწაულებრივად გადაარჩინა კარი.

— წაგებამ დამაღონა. მეორედ ჩამოვედი „სან სიროზე" სათამაშოდ და კვლავ 0:1 წავაგეთ. ეს ჩემს შეცდომებზე მეტყველებს. რაღაცაშია საქმე, თორემ ზედიზედ ორი მარცხი ერთი და იმავე გუნდთან დაუშვებელია. შინ, ცხადია, ძალებს არ დავზოგავთ, მაგრამ „ინტერის" სათანადო ანგარიშით ძლევა ძნელი რომ იქნება, ეს ნათელია. გულდასაწყვეტია ისიც, რომ დე კოკი და ლინკე დაგვაკლდებიან (საპასუხო შეხვედრაში მეორე გაფრთხილების გამო ვერ ითამაშებენ). ეს კი მეტოქის წისქვილზე ასხამს წყალს. მიუხედავად ამისა, შევეცდებით, მოვიგოთ. ეს უბრალოდ ჩვენი ვალია — თქვა ჰუუბ სტევენსმა, რომელმაც „შალკეს" პირველსავე სეზონში ევროთასი მოაგებინა.

მასპინძლები, გასაგები მიზეზების გამო, გახარებულნი ჩანდნენ, მაგრამ მეტოქის ძლევით აღფრთოვანებულებმა ზომიერების გრძნობა მაინც შეინარჩუნეს:

— მოგება ყველა შემთხვევაში კარგია, მაგრამ ამით გონება არ უნდა დაგვებინდოს. „შალკე" დღესდღეობით უფრო ძლიერია, ვიდრე შარშან, ეს კი მოდუნების საშუალებას არ გვაძლევს. ორ კვირაში ურთულესი მატჩი გველის, ამაში ეჭვიც არ მეპარება — თქვა ჯორკაეფმა. „ინტერის" პრეზიდენტი, მულტიმილიონერი ნავთობმაგნატი მასიმო მორატი უფრო თვითდაჯერებული იყო — გუნდი მართლაც კარგია, მეტოქეს სხვაგვარად ვერ ვძლევდით. მართალია, მხოლოდ 1:0 მოვიგეთ, მაგრამ ესეც ხომ გამარჯვებაა. ახლა მათ ერთი ბურთი ექნებათ გასაქვითი, ჩვენ კი ამ მდგომარეობაში არ ვართ. იმედია, მოვიგებთ. დროა, თასი მილანში წამოვიდეს.

...სტუმრების დარად გაფრთხილებების გამო გელზენკირხენში „ინტერსაც" დააკლდება გამოცდილი ფეხბურთელი — ლუიჯი სარტორი საპასუხო შეხვედრას გამოტოვებს. სხვათა შორის, „ინტერს" ლამის თილისმად ქცეული კაპიტანი ჯუზეპე ბერგომი აკლდა — იგი დისკვალიფიცირებული იყო. გუნდის ახალ შენაძენს, პორტუგალიელ პაულუ სოუზას კი თამაშის უფლება არა აქვს, მან ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგის მატჩებში დორტმუნდელთა ღირსების დაცვა მოასწრო.

თითქმის ერთი წლის წინ, გათამაშების ფინალის პირველ მატჩში, „შალკემ" „ინტერის" დამარცხება მოახერხა. საინტერესოა, შეძლებს კი ჰუუბ სტევენსი ახლაც იგივე გააკეთოს?

### ლაციო 1:0 ოსერი

**ლაციო: მარკეჯანი, პანკარო, ნესტა, ნეგრო, ფავალი, ფუზერი, ვენტურინი (კაზირაგი 62), ნედვედი, იუგოვიჩი, ბოკშიჩი (გოტარდი 85), მანჩინი (მარკოლინი 69)**
**ოსერი: შარბონიე, ჟეი, გომა, დენჟე, რაბარივონი, ლამუში, ჟენეშამპი, ლეშუერი, მარლე, გივარში, დიომედი**
**1:0 კაზირაგი (64)**

— მე ენახე ლიგის თასზე „მარსელის" წინააღმდეგ მათი თამაშის ვიდეოჩანაწერი და მეტოქის სრულფასოვნად შესწავლის ყველანაირი საშუალება მქონდა. ვფიქრობ, სათანადო დასკვნები გამოვიტანე. „ოსერის" სუსტი და ძლიერი მხარეების თაობაზე საკმაოდ ბევრი ინფორმაცია მივიღე და ეს რომ არ გამომეყენებინა, არ შეიძლებოდა — აღიარა „ლაციოს" შვედმა მწვრთნელმა სვენ გორან ერიქსონმა. იქნებ ერიქსონს მეტოქე შესწავლილიც ჰყავდა, მაგრამ რომაელთა თამაშიდან გამომდინარე, ამაში ეჭვი ძეპარებოდა. მართალია, უპირატესობა პირველივე წუთიდან იტალიელთა მხარეს იყო, სტუმართა კონტრშეტევები უფრო მეტ ხიფათს უქმნიდა მარკეჯანის კარს, ვიდრე „ლაციოს" იერიშები შარბონიესას.

ტერიტორიული უპირატესობის თავის სასარგებლოდ გამოყენებას „ლაციო" ტაიმის შუაწელიდან შეუდგა — ბოკშიჩმა ორჯერ, ხოლო ნედვედმა და ფუზერმა თითოჯერ ხეირიანი მომენტები ქარს გაატანეს. თავის მხრივ არც „ოსერი" იყო უსაქმოდ — საფრანგეთის ჩემპიონატის ბომბარდირთა ლიდერმა სტეფან გივარშმა სტივ მარლესთან ერთად მასპინძელთა მცველები ერთობ შეაწუხა. და მაინც, მიუხედავად საკმაოდ თვალსაჩინო ტაიმისა, გოლი, ისიც ერთი, მხოლოდ შესვენების შემდეგ გავიდა.

პიერლუიჯი კაზირაგი ორი წუთის ჩართული იყო თამაშში და ბურთთან პირველივე შეხება გოლით დაასრულა — ჩეხი პაველ ნედვედის მარჯვენა ფლანგური გარღვევა საჯარიმოში ჩაწოდებით გაგრძელდა, იქ ფრენკ რაბარივონი და საბრი ლამუში შეცდნენ, კაზირაგიმ კი აკრობატულ ნახტომში ანგარიში გახსნა. მალე დიომედს გაყაიმება შეეძლო, მაგრამ მარკეჯანის კარი ბრწყინვალედ დარტყმულ საჯარიმოს ბეწვზე გადაურჩა.

შეხვედრა საბოლოოდ „ლაციოს" გამარჯვებით კი დასრულდა, მაგრამ რომაელთათვის სამწუხარო ამბავიც მოხდა — არბიტრმა ვლადიმირ იუგოვიჩი მეორედ გააფრთხილა, გააძევა და საპასუხო მატჩში თამაშის შანსიც მოუსპო.

— ვფიქრობ, ვიმსახურებდით მოგებას. ეს ასეც უნდა მომხდარიყო — თქვა ერიქსონმა. მისმა კოლეგამ, „ოსერის" მწვრთნელმა გი რუმ კი მარცხი ლოგიკურად ახსნა: ბოლო დროს „ლაციო" იტალიის უძლიერესი გუნდია, სერია A მხოლოში საუკეთესოა, აქედან გამომდინარე, მეტოქე მსოფლიოს უძლიერესი გუნდია, ასეთთან მარცხი მოსალოდნელიც იყოო.

„ოსერს" მართლაც ძლიერი მეტოქე ჰყავდა — „ლაციოს", ყველა შეჯიბრებაში უკვე 17 შეხვედრაა, არ წაუგია, შინ კი ასევე ყველა გათამაშებებში ზედიზედ მე-11 მატჩი მოიგო.

სხვათა შორის, ერთადერთი გოლის ავტორ კაზირაგის, რომელსაც უეფას თასი „იუვენტუსის" შემადგენლობაში 1990 და 1993 წლებში მოუგია, შოთა არველაძის დარად ამ გათამაშების ყველა წრეში გააქვს გოლები.

### ატლეტიკო 1:0 ასტონ ვილა

**ატლეტიკო: მოლინა, მუნიოსი, ფრასკარელი, სანტი, აგილერა, რომერო (პუანოვიჩი 62), ვისკაინო, კიკო, პანტიჩი (ნიმნი 75), კამინერო, ვიერი**
**ასტონ ვილა: ბოზნიჩი, შიმეცა (სტონტონი 41), საუთგეიტი, ეჰიოგუ, რაიტი, დრეპერი, ტეილორი, ენდრიუ, გრეისონი, კოლიმორი (იოაკიმი 51), იორკი**
**1:0 ვიერი (41)**

რამდენიმე დღის წინ ბირმინგემელებმა ახალ მწვრთნელს, ჯონ გრეგორის დებიუტი „ლივერპულთან" გამარჯვებით აღნიშნეს. მაშინ „ასტონ ვილას" ახალმა თავკაცმა იოხუნჯა, ბირმინგემში უწყვეტი გამარჯვებების ელექსირი ჩამოვიტანე, გუნდი ამ სეზონში არა, მაგრამ მომდევნოში უეჭველად ჩემპიონი გახდებაო.

სტუმრებს „ატლეტიკო" რომ დაემარცხებინათ, ბირმინგემელთა ზოგიერთ თავგამოდებულ გულშემატკივარს იქნებ დაეჯერებინა კიდეც ალქიმიის ძალა, მაგრამ ასე არ მოხდა... სხვათა შორის, მწვრთნელმა მატჩის შემდგომ განაცხადა, დღეს ჩვენ რომ მოგვეგო, უმალ თანამდებობიდან გადავდგებოდი — „ვილა" და ზედიზედ ორი მოგება დიდი შეუსაბამობააო.

გრეგორის ხუმრობაში სიმართლეც ერია — „ასტონ ვილას" მადრიდელები რომ დაემარცხებინა, სენსაცია იქნებოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მან „ლივერპული" გაამწარა.

ხუმრობა ხუმრობად, „ასტონ ვილა" კი მასპინძელთა მძლეველი არ ჩანდა. რომ არა ბედი, რადომირ ანტიჩის გუნდს ნახევარფინალისტის ვინაობა პირველ შეხვედრაში კი არა, პირველ ტაიმშივე უნდა გაერკვია, მაგრამ, ცალ კარში თამაშს სათანადო შედეგი არ მოუტანია.

მასპინძლები კარგა ხნით ადრე იყვნენ შეგუებულნი იმ აზრს, რომ ინგლისელებთან ტრავმირებული ჟუნინიო და დისკვალიფიცირებული ბეიბლი თუ ლარდინი ვერ ითამაშებდნენ. ზემოხსენებული სამეული მარტო „ატლეტიკოსთვის" კი არა, ნებისმიერი გუნდისთვის საგრძნობი ძალაა, თუმცა, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მადრიდელებს მათი არყოფნა სრულიადაც არ ემჩნეოდათ, პირიქით, მასპინძლები შესანიშნავად ირჯებოდნენ.

მხოლოდ მინიმალური სხვაობით გამარჯვების გამო გულდაწყვეტილი რადომირ ანტიჩი შეხვედრის შემდეგ ჩიოდა, მეტოქეს კაცური ფეხბურთი რომ ეთამაშა და თავდასხმების მოგერიებას წესების დაცვით ცდილიყო, მისთვისაც უკეთესი იქნებოდაო. მართლაც, „ასტონ ვილა" ძალიან უხეშობდა, განსაკუთრებით შესვენებამდე. ამიტომაც მსაჯმა ლამის ყველა სტუმარი გააფრთხილა. სწორედ მეორე ყვითელი ბარათის გამო გამოტოვებს საპასუხო მატჩს სტუმართა ავსტრალიელი მეკარე მარკ ბოზნიჩი, თუმცა იგი უხეშობისთვის სულაც არ გაუფრთხილებიათ — ბოზნიჩი, როგორც ხშირ შემთხვევებში იქცევიან სტუმრები, დროის გაყვანას შეეცადა, მაგრამ იტალიელი არბიტრის, სტეფანო ბრაჩის ქორისებრ თვალებს არაფერი გამოჰპარვია. სხვათა შორის, გასახდელში მიმავალ ბოზნიჩს მადრიდელებმა ხურდები დაუშინეს, ინგლისელი ქომაგები კი აურზაურისთვის პოლიციელებმა შეახურეს.

— დიდი იმედი მაქვს, რომ დღეს გოლს გავიტან. რაც აქ ჩამოვედი, თავს შესანიშნავად ვგრძნობ. ირგვლივ ისეთი ატმოსფეროა, კარგად თამაშის სურვილი არ გაქრება, ეს კი თავდამსხმელს გოლების გატანის წადილს ვიათმაგებს. მთავარი, ცხადია, „ატლეტიკოს" გამარჯვებაა, მაგრამ თუ მეც შევძელი და გავიტანე, ჩემზე ბედნიერი არავინ იქნება — თქვა მატჩამდე „ატლეტიკოს" იტალიელმა ფორვარდმა კრისტიან ვიერიმ. ექსიუვენტუსელს ოცნება აუხდა — შეხვედრის ბედი მისი გუნდის სასარგებლოდ სწორედ ვიერის ზუსტმა დარტყმამ გადაწყვიტა. მართალია, ესპანეთის ჩემპიონატის ბომბარდირთა ლიდერმა პენალტიდან შეაგდო, მაგრამ თერთმეტმეტრიანსაც ხომ უნდა გატანა. ფეხბურთში ყველაზე მკაცრი ჯარიმა კი ბირმინგემელებისავე უთავბოლოობით დაინიშნა — ესპანელთა გამძვინვარებული შეტევები, რაც დრო გადიოდა, სულ უფრო სახიფათო ხდებოდა. მათი მოგერიება-ჩახშობაც რთულდებოდა, ტაიმის მიწურულს კი ინგლისელებმა ველარ მოითმინეს და იან ტეილორმა კამინერო მინდორზე დასცა.

— შესვენებამდე ძალიან ცუდად ვითამაშეთ. ამას ფეხბურთი არ ეთქმოდა. „ვილა პარკზე" აუცილებლად უნდა მოვიგოთ. ჩვენი ერთადერთი მიზანი დღესდღეობით სწორედ ესაა — აღიარა გრეგორიმ.

**ლაშა გოდუაძე**

თასების თასი. მეოთხედფინალი

# სიომინს ჯანაშიას იმედი აქვს

ათენში აეკის გამარჯვების დიდი იმედი აქვთ, ეგ კი არა, რუსი რკინიგზელების განადგურებას აპირებენ. მასპინძელთა რუმინელმა მწვრთნელმა დუმიტრუ დუმიტრიუმ სრულიად მოურიდებლად განაცხადა, დღესდღეობით აეკი „ლოკომოტივზე“ გაცილებით ძლიერია, მინიმუმ 2:0 მაინც უნდა მოვიგოთ, მით უმეტეს, ამის უნარი შეგვწევსო.

აეკი საბერძნეთში ძლიერი გუნდი კია, მაგრამ ძნელია, შინაურ ასპარეზზე მიღწეული წარმატებებით განსაზღვრო რომელიმე კონკრეტული კლუბის საერთაშორისო დონე. აეკზეც ჭირს წინასწარ რაიმეს თქმა, თუმცა, როგორც ჩანს, პროგნოზები ჩვენთვისაა რთული, თორემ თავად კლუბში ძალიან არიან საკუთარ გამარჯვებაში დარწმუნებულნი.

— ვიცი, თასის მოგების რეალურ კანდიდატებად ვითვლებით. მხოლოდ საუბარი არას გვარგებს, ჩვენი სიძლიერე საქმით უნდა დავამტკიცოთ — თქვა აეკის მფლობელი ბრიტანული ფირმის, ENIC-ის გენერალურმა მენეჯერმა რობერტ ჰერსოფმა. სხვათა შორის, ENIC-ი ფეხბურთელებს გვარიან პრემიალურებს შეჰპირდა, თუკი გაიმარჯვებენ.

რაც შეეხება თავად აეკს, გუნდი „ლოკომოტივთან“ სრული შემადგენლობით ვერ ითამაშებს — მცველები იანის კალიცაკისი და ნიკოს კოსტენოღლუ დისკვალიფიცირებულნი არიან, თავდამსხმელები ხრისტოს კოსტისი, დანილე ბატისტა და ეურიპიდის კაცავოსი კი ტრავმირებულნი.

აეკის დარად, მეტოქის შესახებ აზრი „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობამაც გამოთქვა. გუნდის მთავარი მწვრთნელის, იური სიომინის თანაშემწემ, ანატოლი მაშკოვმა განაცხადა, აეკის შესაძლებლობები კარგად ვიცით, დაუმარცხებელი გუნდი სრულიადაც არ არისო. მანვე დასძინა, ჩვენი ბედი ჩვენს ხელთაა, თუ მეტოქეს ყველაფერს დავუთმობთ, ცხადია, დავმარცხდებით, ხოლო თუ კარგად ვითამაშეთ, არ წავაგებთო.

გუშინ რუსთა მწვრთნელმა იური სიომინმაც ისაუბრა, თუმცა, კოლეგისგან განსხვავებით, მხოლოდ ის თქვა, რთული თამაში იქნება, ვეცდებით, გავიმარჯვოთო. მან გუნდის მომზადებაზეც თქვა ორიოდე სიტყვა, ფეხბურთელებიდან კი ზაზა ჯანაშია გამოყო — მისი დიდი იმედი მაქვსო.

აეკის დარად, „ლოკომოტივიც“ მოისაკლისებს რამდენიმე მოთამაშეს — მცველ ანდრეი სალომატინი დაშავებულია, ისევე, როგორც თავდამსხმელი ოლეგ გარინი.

ამ გათამაშებას აეკი — „ლოკომოტივის“ გარდა კიდევ ექვსი გუნდი შემორჩა, თანაც დეკემბერში გამართულმა წილისყრამ საკმაოდ საინტერესო მეოთხედფინალური წყვილები შექმნა, რომლებზეც ორიოდ სიტყვის თქმა ნამდვილად არ იქნებოდა ურიგო.

დავიწყოთ ყველაზე საინტერესო „ბეტისი“ — „ჩელსის“ წყვილით.

ამ გუნდების დუელი შეიძლება ნაადრევ ფინალადაც მივიჩნიოთ. მართალია მეტოქეები დღესდღეობით საუკეთესო ფორმაში არ არიან, მაგრამ დღევანდელი თამაში უდავოდ საინტერესო რომ იქნება ამაში ვფიქრობთ ეჭვი არავის შეეპარება. მასპინძლებზე იმის თქმა შეიძლება, რომ მათ თამაშის ხარისხი ამ რამდენიმე ხნის წინ გამოასწორეს, მანამდე კი „ბეტისი“ ერთობ ცუდად ირჯებოდა. ერთი პერიოდი გუნდის უშედეგო თამაშმა მომავალ სეზონში, კლუბის ევროტურნირებზე მონაწილეობა ეჭვქვეშ დააყენა, მაგრამ ბოლო ხანს განცდილმა საგრძნობმა პროგრესმა გუნდი ჩვეულ ადგილზე დააბრუნა. მასპინძელთაგან განსხვავებით ლონდონელები ადრე გაცილებით უკეთ თამაშობდნენ ვიდრე ეხლა. შესაძლოა ამაზე გარკვეულწილად კლუბში მომხდარმა საკადრო ცვლილებებმაც იმოქმედა (მხედველობაში მწვრთნელის, გულიტის ვიალით შეცვლა მაქვს). ამ წყვილის გამარჯვებულის წინასწარ დასახელება ძნელია, მაგრამ გარკვეული უპირატესობა მაინც ესპანელთა მხარესაა.

როდა — ვიჩენცა. ძალიან ძნელად პროგნოზირებადი მატჩია. მეტოქეებმა შარშანდელ სეზონში თავიანთი ქვეყნის თასები მოიგეს, მაგრამ ჰოლანდიელთაგან განსხვავებით „ვიჩენცას“ „ინტერთან“ გამარჯვება ცოტა მოულოდნელიც იყო. შარშანდელი სეზონისგან განსხვავებით მათ წლევანდელ თამაშს წარმატებულს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ — დღესდღეობით ორივენი ლიგაში დასარჩენად იბრძვიან. სხვათაშორის ჰოლანდიის თასის შარშანდელ ფინალში „როდას“ კარს იცავდა და თან კაპიტნობდა კიდეც ამჟამად „ბარსელონას“ მეკარე რუუდ ჰესპი.

ამჟამად „ვიჩენცას“ მოთამაშეთაგან ოდენ ურუგვაელი მარსელო ოტეროს და აპენინელი ლუიზოს აღნიშვნაა მიზანშეწონილი, რომლებიც თანაგუნდელებისგან ძალიან გამოირჩევიან. ჰოლანდიელები ხიფათს სწორედ ამათგან უნდა ელოდნენ.

დარჩა კიდევ ერთი მეოთხედფინალური წყვილი — „სლავიასა“ და „შტუტგარტის“ დუელი. მეტოქეთა ქვეყნების გათვალისწინებით ფავორიტად გერმანელები შეიძლება ჩავთვალოთ, მაგრამ თუ „შტუტგარტის“ ბოლოდროინდელ ჩავარდნებს და ტრავმირებულ ბობიჩს გავითვალისწინებთ, ცხადი გახდება, რომ გერმანელთა უცილობელ ფავორიტებად მიჩნევა გამართლებული სულაც არაა.

**ონისე შინჯიკაშვილი**

# ტყუპებიც წავიდნენ

ჰოლანდიის ნაკრებისა და „აიაქსის“ ფეხბურთელმა ფრანკ დე ბურმა განაცხადა, რომ მიუხედავად ამსტერდამელთა კლუბთან 2004 წლამდე გაფორმებული კონტრაქტისა, მას სათამაშოდ უცხოეთში სურს წასვლა.

— ორი წლის წინ დარწმუნებული ვიყავი, რომ „აიაქსში“ დიდხანს დავრჩებოდი, მაგრამ ახლა სხვაგვარად ვფიქრობ. მაისში 28 წელი შემისრულდება, ამიტომაც თუ რაიმეს გადაწყვეტა მინდა, ახლავე უნდა გადავწყვიტო — ამბობს ფრანკი.

მისი თქმით, „აიაქსიდან“ წასვლა სურს მის ტყუპისცალს რონალდსაც.

— რონალდი უფრო პოპულარულია საზღვარგარეთ, ვიდრე მე — განაცხადა ფრანკმა და განაგრძო — ცხადია, ფულიც თავის როლს თამაშობს. მინდა შვილები უზრუნველნი მყავდნენ. როდესაც ვიგებ, რამდენს სთავაზობენ „ჩელსიში“ ბრაიან ლაუდრუპს... რა თქმა უნდა, ყველაფერი ფულზეა დამოკიდებული.

— ძმები დე ბურები კარგა ხანია „აიაქსში“ არიან და გუნდის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ — დაახასიათა წამსვლელები მწვრთნელმა მორტენ ოლსენმა, რომელიც თუმცა ტყუპების წასვლით გულდაწყვეტილია, შეგუებულია აზრს, რომ გუნდი გადასახალისებელი ჰყავს. იგი თურმე 10 ახალი ფეხბურთელის მოწვევას აპირებს.




# სექსბომ-ბა

იტალიური „მილანის“ ფრანგი ზანგი ნახევარმცველი, თეთრად თმაშეღებილი იბრაჰიმ ბა, გამოკითხვის შედეგად იტალიის ყველაზე სექსუალურ ფეხბურთელად აღიარეს. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 589 ქალმა, რომელთაც განაცხადეს, ამ კაცთან სიამოვნებით გავატარებდით ღამესო. ბამ ხმათა 22 პროცენტი მიიღო. 17 პროცენტით მეორე ადგილზეა „ინტერის“ ბრაზილიელი თავდამსხმელი რონალდო, ლიბერიელი ჯორჯ ვეა (იგიც „მილანიდანაა“) 15 პროცენტით მესამეზე გავიდა. 10 პროცენტი ერგო „ფიორენტინას“ არგენტინელ თავდამსხმელს გაბრიელ ბატისტუტას, „ინტერის“ პორტუგალიელი პაულუ სოუზა შვიდპროცენტიანია. ბოლო ადგილზე სამი პროცენტით „იუვენტუსის“ ზინედინ ზიდანი გავიდა.

## გერმანია

### მეორე ბუნდესლიგა

**ფრაიბურგი 2:1 გიუტერსლო**

**ფრაიბურგი: რეუსი, ფრონცეკი, ჰოფმანი, კორელი, შუმანი (ბაია 69), ვაისჰაუპტი, იაშვილი, პავლინი, დიარა (შვინკენდორფი 43), ბენ სლიმანი, ბურიჩი (ბოშკოვიჩი 7)**

**0:1 დზივიორი (19), 1:1 პავლინი (35), 2:1 იაშვილი (79)**

**გაძევება: რეუსი (6), ტშიდიელი (40)**

მეორე წრეში განცდილი ორი საწყისი მარცხის შემდეგ ლიდერობადაკარგულ „ფრაიბურგს“ „გიუტერსლოსთან“ უეჭველი მოგება სჭირდებოდა.

შეხვედრის დასაწყისი მასპინძელთათვის სავალალო გამოდგა — მეექვსე წუთზე მეკარე რეუსი გაუგდეს. უმცირესობაში დარჩენილ ფრაიბურგელებს წინახაზელი ბურიჩის სათადარიგო მეკარით შეცვლა მოუხდათ, რითაც გოლის გაშვებას ვერ გადაურჩნენ. ათკაციანმა „ფრაიბურგმა“ მაინც გაათანაბრა, რასაც 5 წუთში მეტოქის მცველის გაძევება მოჰყვა. თამაშის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე ალექსანდრე იაშვილმა იყოჩაღა და მასპინძლებს სამი ქულაც მოუპოვა და ლიდერობაც.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფრაიბურგი | 20 | 12 | 2 | 6 | 37:24 | 38 |
| ნიურნბერგი | 20 | 12 | 2 | 6 | 28:20 | 38 |
| აინტრახტი | 20 | 10 | 7 | 3 | 30:20 | 37 |
| ურდინგენი | 20 | 9 | 6 | 5 | 22:15 | 33 |
| გიუტერსლო | 20 | 7 | 10 | 3 | 22:16 | 31 |
| ზანქტ პაული | 20 | 7 | 8 | 5 | 22:21 | 29 |
| კოტბუსი | 20 | 6 | 10 | 4 | 22:17 | 28 |
| დიუსელდორფი | 20 | 7 | 7 | 6 | 34:30 | 28 |
| ფიურტი | 20 | 7 | 6 | 7 | 20:22 | 27 |
| უნტერჰახინგი | 20 | 6 | 8 | 6 | 24:17 | 26 |
| ფორტუნა | 20 | 6 | 8 | 6 | 29:31 | 26 |
| მაინცი | 20 | 5 | 10 | 5 | 33:31 | 25 |
| ლაიფციგი | 20 | 6 | 4 | 10 | 21:37 | 22 |
| ვატენშაიდი | 20 | 5 | 6 | 9 | 21:24 | 21 |
| კარლ ცაისი | 20 | 5 | 5 | 10 | 21:32 | 20 |
| კიკერსი | 20 | 5 | 4 | 11 | 28:36 | 19 |
| მეპენი | 20 | 3 | 8 | 9 | 25:33 | 17 |
| ცვიკაუ | 20 | 3 | 7 | 10 | 14:27 | 16 |

## დინასტიის თასი

**იაპონია 5:1 ჰონკონგი**

**1:0 ნაკატა (23), 1:1 ტემპესტი (35), 2:1 ნაკატა (37პ), 3:1 მასუდა (41), 4:1 ნანამი (71), 5:1 ლოპესი (85)**

**კორეა 2:1 ჩინეთი**

**0:1 ლი ბინგი (16), 1:1 ჩოი სუნგ იონგი (39), 2:1 ლი სანგ იუნ (42)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იაპონია | 2 | 2 | 0 | 0 | 7:2 | 6 |
| კორეა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ჩინეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ჰონკონგი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | 0 |

## ინგლისი

### XXVIII ტურის ბოლო მატჩი

**ვესტ ჰემი 0:0 არსენალი**

**ვესტ ჰემი: ლამა, ბრეიკერი (პოტსი 46), პირსი, ანსუორსი, იმპი, ლომასი, ლემპარდი, ლაზარიდისი, ბერკოვიჩი, ჰარტსონი, სინკლერი**

**არსენალი: მენინგერი, დიქსონი, ადამსი, პეტი, აპსონი (უინთერბერნი 75), ჰიუზი, ანელკა, ვიეირა, პლატი (ბოა მორტე 85), ოვერმარსი, კეონი**

კარგა ხანია, „მანჩესტერ იუნაიტედი“ ჩემპიონატის ლიდერად იქცა. რაც დრო გადის, სხვაობა ინგლისის ბოლო წლების ყველაზე ტიტულოვან გუნდსა და მდევრებს შორის უფრო და უფრო იზრდება. ეს განსაკუთრებით ბოლო ხანს იგრძნობა — „ჩელსი“, „ლივერპული“, „არსენალი“ და „ბლექბერნი“, გუნდები რომლებიც მანჩესტერელებს ჩემპიონობას ეცილებიან, ისეთ შეხვედრებში კარგავენ ქულებს, უბრალოდ, გასაოცარია. სწორედ მათი უნიათო თამაშის გამოა, ალექს ფერგიუსონის გუნდი, რაც დრო გადის, ჩემპიონობას უფრო და უფრო რომ უახლოვდება.

ამჯერად სწორედ ის მოხდა, რაზეც ზემოთ გავამახვილეთ ყურადღება — ლიდერის ერთ-ერთმა მდევარმა, „არსენალმა“, რომელიც პოტენციურად „მანჩესტერის“ ყველაზე საშიშ მეტოქედ ითვლება, მ:რიგი ქულები დაკარგა. „აპტონ პარკზე“ აუტსაიდერ მასპინძლებთან თამაშში ვენგერის გუნდს ერთადერთი რამ მოეთხოვებოდა — გამარჯვება, მაგრამ „მეთოფეებმა“ იმდენი ქნეს, ფრეს დასჯერდნენ.

პირველივე წუთიდან მათი უპირატესობა აშკარა იყო — მიუხედავად ბერხკამპის არყოფნისა, სტუმრების თავდასხმა კარგად თამაშობდა, ოღონდ დამაგვირგვინებელ ფაზაში ბურთსაც და დაწინაურების იმედებსაც ყველა ქარს ატანდა. მართალია, „არსენალის“ თავდასხმები მეტწილად ფეხბურთელებისავე უნიათობის გამო მთავრდებოდა უშედეგოდ, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ „ვესტ ჰემის“ დებიუტანტი მეკარე, ფრანგი ბერნარ ლამაც კარგად თამაშობდა. იგი ყოველ ტაიმში მინიმუმ სამ სახიფათო მომენტში მაინც გაისარჯა გვარიანად. ამასთანავე [illegible] თქებადი თამაშით თანაგუნდელები ერთხელაც არ ჩააგდო გაურკვევლობაში.

მოკლედ, „არსენალმა“ [illegible] ქულა დაკარგა, ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად მებრძოლ მანჩესტერელებს კი საქმე გაუკეთა. სხვათა შორის, სტუმართა თავკაცმა არსენ ვენგერმა შეხვედრის შემდეგ ერთობ ოპტიმისტურად განაცხადა, სანამ პირველობა არ დამთავრებულა, მანამდე მუხლჩაუხრელად ვიბრძოლებთ, „მეთოფეებს“ წინაპართაგან მოგვდგამს ასე და თავს არც ახლა შევირცხვენთო.

იმედიანად ყოფნა, იცოცხლეთ, კარგია, მაგრამ ძველი ტრადიციების გახსენება და მუხლჩაუხრელი ბრძოლა პირველობის მიწურულს რომ ახსენდებათ, საოცარი ესაა.

... „არსენალსა“ და „მანჩესტერს“ შორის სხვაობა 11 ქულაა.



დებიუტანტმა ლამამ ლონდონურ დერბიში თავი არ შეირცხვინა

### პირველი დივიზიონი

**ჰადერსფილდი 1:3 სიტი**

**სიტი: რაიტი, ჯეფ უაიტლი, ბრისკო, შელია, საიმონსი, ცხადაძე, ვიკენსი, ბრაუნი (ჯიმ უაიტლი 80), ბრედბერი (რასელი 74), ბერდსლი, როსლერი**

**0:1 ვიკენსი (10), 1:1 დალტონი (38პ), 1:2 ბრისკო (45), 1:3 ცხადაძე (65)**

„ჰადერსფილდს“ აქამდე ხუთი მატჩიდან ერთის გარდა ყველა წაეგო, ახლაც მარცხებს კვლავ წაგება მიუმატა. თავის მხრივ „სიტიმ“, რომელსაც თან 4 ათასი გულშემატკივარი ახლდა, ჯო როილის მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ ხუთიდან მესამე შეხვედრა მოიგო.

სტუმართა სამივე საგოლე პასი პეტერ ბერდსლიმ შეასრულა, მათ შორის კახი ცხადაძის პირველ ინგლისურ გულშიც დაიდო წვლილი — საქართველოს ნაკრების კაპიტანმა მისი კუთხური გარდასახა გოლად.

**სხვა თამაშები: ჩარლტონი — ვესტ ბრომვიჩი 5:0, ოქსფორდი — ქრიუ 0:0, პორტსმუთი — ბერი 1:1, შეფილდ იუნაიტედი — იფსვიჩი 1:1, სტოკპორტი — რედინგი 5:1.**

# არ გვინდა სუპერლიგა

უეფამ განაცხადა, რომ ყველა ღონეს იხმარს, რათა ევროპული სუპერლიგის შექმნა აიცილოს თავიდან. ამ ორგანიზაციის გენერალური მდივნის, გერჰარდ აიგნერის თქმით, ასეთი ლიგა გახლეჩვამდე მიგვიყვანს და ფეხბურთს დაემართება იგივე, რაც ავსტრალიურ რაგბის ლიგას დაემართა.

— ჩვენ ევროპის ჩემპიონთა ლიგის მომავალს დაკვირვებით ვაანალიზებთ, რადგან არის საშიშროება იმისა, რომ მოხდეს ის, რაც უეფას არ სურს. ძალიან ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ საქმეს, რათა კლუბები უჩვეულო მდგომარეობაში არ ჩავაყენოთ. სწორედ ეს მოუვიდა რუპერტ მერდოკის მიერ ავსტრალიაში დაფუძნებულ „რაგბი სუპერ ლიგ“-ს და ამან იქაურ სპორტზე მეტისმეტად ცუდი გავლენა იქონია. გამორიცხვა იმისა, რომ იგივე ევროპულ ფეხბურთს არ მოუვა, ცხადია არ შეიძლება, მაგრამ ჩვენ ჩვენს სპორტს ძლიერ უნდა მოვუფრთხილდეთ — თქვა აიგნერმა.

ავსტრალიაში რაგბის ლიგის კონტროლისთვის ატეხილი სამწლიანი ბრძოლა ახლახანს, დეკემბრეში იმით დასრულდა, რომ რაგბის ლიგამ კონკურენტ მერდოკის სუპერლიგასთან გაერთიანებული შეჯიბრების ჩატარება გადაწყვიტა.

მერდოკის სუპერლიგამ, რომელიც 10 გუნდისგან შედგება, რაგბის ლიგასთან ორწლიანი ჩხუბის შემდეგ 1997 წელს დაიწყო მოქმედება. რაგბის ლიგაში 12 გუნდი მონაწილეობდა. გაერთიანების შედეგი სავალალო გამოდგა, პრომოუტერებმა, სპონსორებმა და გულშემატკივრებმა გული აიცრუეს.

— პრინციპი იგივეა, უბრალოდ სიტყვა რაგბი სიტყვით ფეხბურთი უნდა შეიცვალოს — თქვა აიგნერმა — ვალდებული ხარ კლუბების, სპონსორების და ქომაგების ტრადიციული საფუძველი შეინარჩუნო.

უეფამ, პროცესში ჩასარევად, ჩამოაყალიბა რაღაც მუშათა პარტიის მაგვარი იმ პროფესიულ ლიგებში, რომლებიც თითქოსდა მისგან განდგომასა და ცალკე გაერთიანების დაფუძნებას ცდილობენ.

— „პროფესიული ფეხბურთის კომიტეტი“ აპრილში, დუბლინის ყრილობაზე დაარსდება. ჩვენ და სხვადასხვა ლიგები ყველა ღონეს ვხმარობთ, რათა ჩვენს შეხედულებებს საერთო კალაპოტი მოვუძებნოთ და სარგებელი მოვატანინოთ.

როგორც ცნობილია, ჩემპიონთა ლიგის დღევანდელი ფორმულა — ოთხგუნდიანი ექვსი ჯგუფი — უეფაში უმეტესობას არ მოსწონდა. აქ სურთ შეჯიბრება ოთხი, ექვსგუნდიანი ჯგუფით ჩაატარონ.

დარჩა
FRANCE 98
97 დღე

## ფუტიძსის დროშით

## ამიერიდან გვიფრთხილდნენ

ვინც ფიქრობს, რომ ნორვეგიის ნაკრები საფრანგეთში ისევე მოიქცევა, 1994 წელს ამერიკაში რომ მოიქცა, ძალიან ცდება — ასე თვლის მეკარე თომას მერი.

ოთხი წლის წინ ნორვეგიელები ოკეანის გადაღმა, მსოფლიოს ჩემპიონატზე იმედისმომცემ გუნდად ჩავიდნენ, მაგრამ საკუთარ კარს მიჯაჭვულ, უსახო გუნდად წარუდგნენ მაყურებელს. მერი, „ევერტონის" კარის მცველი, ნაკრებში მოხვედრასა და მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშს, რომ ლამობს, დარწმუნებულია, რომ მისმა თანამემამულეებმა ჭკუა ისწავლეს და ახლა სხვანი არიან.

გასულ პირველობაზე ჩვენ კარგად ვერ ვითამაშეთ. ძირითად ყურადღებას დაცვაზე ვამახვილებდით და თუ 0:1-ს ვაგებდით, გოლის გატანას არც კი ვცდილობდით. დღეს ნორვეგიის ნაკრები გაცილებით ძლიერი გუნდია. თუ ოთხი წლის წინ უპირატესად დაცვის მოყვარული მოთამაშეებით ვიყავით დაკომპლექტებული, ახლა შემტევი ხალხი უფრო მეტი გვყავს. დღეს ჩვენს ფეხბურთელებს შექმნა ჩაშლაზე მეტად ეხერხებათ. ასეთები არიან „მანჩესტერ იუნაიტედის" ოლე გუნარ სოლსკიაერი და „ჩელსის" ტორე ანდრე ფლო. მათ ყველაფერი შესარჩევ ციკლში დაამტკიცეს.

ნორვეგიის ნაკრებმა შესარჩევი ციკლი ისე ჩაიარა, რომ ერთი თამაშიც არ წაუგია და ჯგუფში პირველი ადგილი მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ მისმა ფეხბურთელებმა გაიტანეს 21 გოლი, ხოლო ქვეყნის პირველმა გოლკიპერმა ფროდე გროდასმა მხოლოდ ორი გაუშვა. ნორვეგია შვეიცარიას რომ შეხვდა, საფრანგეთში თამაში უკვე გარანტირებული ჰქონდა, მაგრამ მაინც 5:0 მოიგო.

სხვათა შორის, ნორვეგიელებმა ამხანაგურ შეხვედრაში თვით ბრაზილია დაამარცხეს 4:2. ეს შეხვედრა მათ დედაქალაქ ოსლოში გაიმართა. ახლა, იღბლის გადაწყვეტილებით ეს ორი გუნდი ოფიციალურ შეხვედრაში უნდა დაუპირისპირდეს ერთმანეთს. ისინი კენჭისყრამ მსოფლიო პირველობის ჯგუფურ ტურნირში ბრაზილიის, შოტლანდიის და მაროკოს მეტოქედ განაწესა.

— დღეს ჩვენ უფრო ლამაზ, შემტევ ფეხბურთს ვთამაშობთ და ეს მოგებაში გვეხმარება — ამბობს მერი — ამერიკაში კარგი ფეხბურთელები არ გვყავდა. დღეს ძალიან გვიწყობს ხელს ის გარემოება, რომ ბევრი ნორვეგიელი მოთამაშე ინგლისის პრემიერლიგაში მოღვაწეობს. ამიტომაც, ვინც ფიქრობს, რომ ჩვენ საფრანგეთში მოსაწყენ ფეხბურთს ვითამაშებთ, უეჭველად სურპრიზს ნახავს.

მერი ბოლო დროს წინა პლანზე გამოვიდა, რაშიც „ევერტონის" მატჩებსა და პრემიერლიგას უნდა უმადლოდეს, ცხადია საკუთარ თავთან ერთად. აი, 33 წლის გროდასი კი გუნდებს იცვლის. იგი იანვარში „ჩელსიდან" „ტოტენჰემში" გადავიდა, რადგან ლონდონის არისტოკრატთა უბნის გუნდის მაშინდელი მწვრთნელი რუუდ გულიტი ძირითად შემადგენლობას არ ანდობდა.

ნორვეგიის ნაკრების წევრთა უმეტესობა უცხოეთში თამაშობს, რაც მერის აზრით ძალიან კარგია. იგი ამბობს:

— აქ გაცილებით მაღალი დონეა, ვიდრე ნორვეგიაში. როდესაც 40 ძლიერ შეხვედრას ატარებ, უკეთესი ფეხბურთელი ხდები. რაც ნორვეგიელებმა უცხოეთს, მეტადრე კი ინგლისის პრემიერლიგას მივაშურეთ, ჩვენი ქვეყნის ეროვნული გუნდი ძლიერად ათამაშდა.

## მათი ნება რომ იყოს

საფრანგეთში 370 ათასი ინგლისელი ქომაგი აპირებს უბილეთოდ ჩასვლას. ასეთი ცნობა გამოკითხვის შედეგად გაავრცელა ბრიტანულმა საფეხბურთო ჟურნალმა FOUR FOUR TWO-მ, რაც ქართულად ოთხი-ოთხი-ორს ნიშნავს.

სტატიაში ეწერა, რომ ქომაგთაგან 300 ათასი უფრო ატმოსფეროს შესაქმნელად მიეშურება საფრანგეთს, ვიდრე თამაშებზე დასასწრებად. თურმე სტატისტიკოსთა აზრით ინგლისელ ფანთა უმრავლესობა უპირველეს ყოვლისა თავისი ქვეყნის ნაკრების შეხვედრებზე დასწრებას მოიწადინებს, მაგრამ თუ ეს არ გამოუვიდათ, სხვათა შეხვედრებს მიაშურებენ. და მაინც, ვინაიდან ალბიონზე 55 პროცენტს სწამს, რომ გლენ ჰოდლის გუნდი სულ მცირე ნახევარფინალში გავა, სტადიონებს, სადაც ამ გუნდს უწევს თამაში, უბილეთოთა დიდი შემოსევა ელით.

მოგეხსენებათ, ადრე ევროკომისიამ მუქარა შეუთვალა ფიფასა და მსოფლიოს პირველობის ფრანგ ორგანიზატორებს, თუ საფრანგეთს გარეთ დამატებით ბილეთებს არ გაყიდით, დაგაჯარიმებთო. ფიფამ ეს მუქარა ერთი შეხედვით ყურად არ იღო, მაგრამ აგერ, კვირას, მოსფლიოს ფეხბურთის გენერალურმა მდივანმა ზეპ ბლატერმა საჯაროდ განაცხადა, მონაწილე ქვეყნების გულშემატკივრები კიდევ მიიღებენ ბილეთებსო.

ყველაზე მეტად, ინგლისსა თუ მის გარეთ, ჯგუფური ტურნირის სამი თამაშის ბილეთების დეფიციტი ამწვავებს საქმეს. ზემოხსენებულმა ჟურნალმა მოიყვანა ასეთი მაგალითი: ამა წლის 23-27 იანვარს 2077-მა, 15 წელზე უფროსმა ჭაბუკმა შეიტანა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაში განაცხადი ბილეთების შესაძენად, 500 ადამიანზე მეტმა კი ინტერნეტისა და თავად ჟურნალის საშუალებით სცადა საქმის გაჩარხვა.

დღეისათვის ინგლისელებს 26 ივნისს, ლანსში, კოლუმბიასთან შეხვედრაზე დასასწრებად 2589 ბილეთი აქვთ ხელთ.

— გამოკითხვის შედეგები ცხადჰყოფს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე უბილეთოდ წასულთა რიცხვი ერთიორად გაიზრდება. ინგლისის მთავრობა იძულებულია თავის მოსახლეობას მიმართოს თხოვნით: თუ ბილეთი არ გაქვთ, არ წახვიდეთ. მთავრობამ ფეხბურთის ასოციაციას, პრემიერლიგის ხელისუფალთ და ადგილობრივ შეფებს საგანგებოდ დაავალა ხალხის თავშეყრის ადგილებში დიდი ვიდეოეკრანების აღმართვა. მე თავად ინგლისში დავრჩები, საფრანგეთში არ წავალ, რადგან ჩემს თანამემამულეებს მაგალითი მივცე. მე მათთან ერთად ქუჩებში ან სტადიონზე ვნახავ თამაშებს — განაცხადა ბრიტანეთის სპორტის მინისტრმა ტონი ბენქსმა.

გამოკითხვამ აჩვენა, რომ ინგლისელ გულშემატკივართა 64 პროცენტს ინგლისის ნაკრების თამაშების სანახავად 100 გირვანქა ანუ 165 დოლარი ემეტება, 17 პროცენტი კი 100-დან 250 გირვანქამდეც გაიღებდა.

ისე, იოლი რომ იყოს, თურმე 1,85 მილიონი კაცი გაემგზავრებოდა საფრანგეთს.

### არგენტინა

ნაკრების მწვრთნელმა დანიელ პასარელამ სამშობლოში მოთამაშე ცხრა ფეხბურთელი გამოიძახა გუნდში, რომელიც 10 მარტს ბულგარეთის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩს გამართავს.

მთელი შემადგენლობა ასეთია: მეკარეები — პაბლო კავალერო (ველეზ სარსფილდი), კარლოს ბოსიო (ესტუდიანტეს დე ლა პლატა); მცველები — გუსტავო ლომბარდი (სალამანკა, ესპანეთი), მაურისიო პინეიდა (უდინეზე, იტალია), პაბლო პასი (ტენერიფე, ესპანეთი), ედუარდო ბერიზო (რივერ პლეიტი, რობერტო აიალა (ნაპოლი, იტალია), ერნან დიასი (რივერ პლეიტი); ნახევარმცველები — გუსტავო საპატა (სან ლორენსო), სერჯო ბერტი (რივერ პლეიტი), როდოლფო კარდოსო (ბოკა ხუნიორსი), ხუან ვერონი (სამპდორია, იტალია), მარსელო გალარდო (რივერ პლეიტი) თავდამსხმელები — გაბრიელ ბატისტუტა (ფიორენტინა, იტალია), კლაუდიო ლოპესი (ვალენსია, ესპანეთი), მარსელო დელგადო (რასინგი).



## იანი — გორანის რისხვა

**ABN-AMRO-ს პირველობა. როტერდამი. ჰოლანდია. ტარდება დარბაზში ხალიჩაზე. საპრიზო ფონდი 750 ათასი დოლარი**

მსოფლიოს 218-ე ჩოგანი თუ ამერიკის ღია პირველობის გამარჯვებულს გაუწევდა წინააღმდეგობას, არავინ ელოდა. ამიტომ როდესაც ჰოლანდიელმა პიტერ ვესელსმა პატრიკ რაფტერს პირველი სეტი მოუგო, საკუთარი თავიც გააოცა, მეტოქეც და მაყურებელიც, მაგრამ მეორე ხელის ბოლოს ბრეიკიც რომ გააზერხა და გამარჯვებამდე ერთი ხელის გაწვდენაღა დარჩა, ავსტრალიელზე მეტად, ეტყობა, თავად შეშინდა და მანამდე საათივით აწყობილი მძლავრი მოწოდებები თვალსა და ხელს შუა გამოეცალა. რაფტერმა მეტოქის სისუსტით მაშინვე ისარგებლა და ანგარიში გაათანაბრა, მერე კი დაბნეულ ჰოლანდიელს ტაი-ბრეიკიც მოუგო და მესამე ხელში არანაირი შანსი აღარ დაუტოვა — 5:7, 7:6 (7:3), 6:1.

გორან ივანიშევიჩის (7) ლამეულ კოშმარებში იან სიმერინკს, ალბათ, ღირსეული ადგილი უჭირავს — ჰოლანდიელმა ცაციამ ზორბა ხორვატი წლეულს უკვე მესამე ტურნირის პირველ წრეში გამოთიშა ასპარეზობას. ავსტრალიის ღია პირველობისა და ევროგაერთიანების ჩემპიონატისგან განსხვავებით, ივანიშევიჩი ამჯერად გამარჯვებასთან ახლოს იყო, მაგრამ მეორე ხელის ტაი-ბრეიკზე [illegible] ცდომით გაანი[illegible] ნამედროვე ჩოგნები დიდი გამძლეობით გამოირჩევა [illegible] 7:6 (8:6), 6:3 [illegible] რინკის [illegible].

**პირველი წრე:** ტომას კარბონელი (იტალია) — იონას ბიორკმანი (2, შვედეთი) 6:7 (5:7), 6:3, 6:4; ტომას იოჰანსონი (შვედეთი) — ევგენი კაფელნიკოვი (4, რუსეთი) 7:6 (7:5), 6:2; გრეგ რუზეცკი (3, ინგლისი) — ქარიმ ალამი (მაროკო) 6:7 (7:9), 7:6 (7:3), 7:6 (7:4); რიჩარდ კრაიჩეკი (5, ჰოლანდია) — დენის ვან შეპინგენი (ჰოლანდია) 7:5, 6:4; სერხი ბრუგერა (6, ესპანეთი) — ჰიშამ არაზი (მაროკო) 7:6 (7:4), 6:4; კენეტ კარლსენი (დანია) — ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) 4:6, 7:6 (8:6), 7:6 (7:4).

**ავთანდილ სვანიძე**

## სამპრასი მალე გაასესბს

ავსტრალიის ღია პირველობის დამთავრების შემდეგ კლასიფიკაციაში აღსანიშნავი აღარაფერი მომხდარა. მართალია, კაცებს შორის პირველი ადგილის დაკავების შანსი პეტერ კორდასაც ჰქონდა და პატრიკ რაფტერსაც, მაგრამ მათ ამისთვის საჭირო ტურნირების მოგებას კი არა, შარშან მოპოვებული ქულების შენარჩუნებას ვერ მოაბეს თავი. ასე რომ, მომავალ ორშაბათს პიტ სამპრასი საუკეთესოთა ნუსხის სათავეში ყოფნის ზედიზედ მეასე კვირას იზეიმებს. თებერვალში კი ყველაზე მეტად ევგენი კაფელნიკოვმა იხეირა — მარსელში ფინალში გასვლითა და ლონდონის ტურნირის მოგებით ჟენიამ თავის მარაქას ხუთასიოდე ქულა შემატა და მეშვიდედან მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა. ელიტაში დაბრუნებისკენ კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადადგა ამერიკელმა ანდრე აგასიმ, რომელმაც ამ თვეში ნათამაშევ ერთადერთ პირველობაზე სან ხოსეში როლან გაროსის ჩემპიონ გუსტავო კერტენს, ყოფილ ჩემპიონ მაიკლ ჩანგსა და თვით პიტ სამპრასს ისე მოუგო, ერთი სეტიც არავისთვის გაუმეტებია. ანდრეს შარშანდელი „გმირობების" გამო ფაქტობრივად კლასიფიკაციაში დასაცავი არაფერი აქვს, ამიტომ ძალიანაც რომ არ უნდოდეს, წლის ბოლომდე მაინც მხოლოდ წინ მოუწევს გადაადგილება.



პიტ სამპრასი ისევ პირველია

ქალებს შორის თვის მოვლენა შტეფი გრაფის დაბრუნება იყო. მუხლის ოპერაციით გამოწვეული რვათვიანი შესვენების შემდეგ მსოფლიოს ყოფილმა პირველ ჩოგანმა სულ ორი მატჩი ჩაატარა და ჰანოვერის ტურნირის მეოთხედფინალში საბინე აპელმანსთან წააგო, მაგრამ ჩოგბურთის მოყვარულებს მისი და მარტინა ჰინგისის დუელის განახლების იმედი მაინც ჩაუსახა.

ტოკიოს პირველობის ფინალში ზემოხსენებული ჰინგისის ძლევით ლინდსი დევენპორტი კლასიფიკაციის მეორე ადგილზე მყარად დამკვიდრდა, აი, მეორე ამერიკელს — მონიკა სელეშს კი ამ სეზონში ჯერაც არ უთამაშია.

### კლასიფიკაცია

**კაცები**

| | | |
|---|---|---|
| 1/1 | პიტ სამპრასი (აშშ) | 3716 |
| 2/2 | პეტერ კორდა (ჩეხეთი) | 3391 |
| 3/3 | პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) | 3211 |
| 4/7 | ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) | 3027 |
| 5/4 | იონას ბიორკმანი (შვედეთი) | 1985 |
| 6/6 | გრეგ რუზეცკი (ინგლისი) | 2806 |
| 7/8 | მარსელო რიოსი (ჩილე) | 2777 |
| 8/5 | მაიკლ ჩანგი (აშშ) | 2686 |
| 9/10 | ალექს კორეჩა (ესპანეთი) | 2551 |
| 10/9 | რიჩარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) | 2457 |
| 11/11 | გუსტავო კერტენი (ბრაზილია) | 2258 |
| 12/13 | კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) | 2171 |
| 13/14 | მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) | 2150 |
| 14/15 | ფელიქს მანტია (ესპანეთი) | 2108 |
| 15/12 | სერხი ბრუგერა (ესპანეთი) | 1957 |
| 16/18 | სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) | 1932 |
| 17/17 | ალბერტო ბერასეტეგი (ესპანეთი) | 1696 |
| 18/19 | კარლოს მოია (ესპანეთი) | 1683 |
| 19/16 | გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) | 1627 |
| 20/21 | ტიმ ჰენმანი (ინგლისი) | 1623 |
| 21/20 | ტომას მუსტერი (ავსტრია) | 1611 |
| 22/22 | ალბერტ კოსტა (ესპანეთი) | 1525 |
| 23/23 | მაგნუს ნორმანი (შვედეთი) | 1465 |
| 24/29 | ტომას ენკვისტი (შვედეთი) | 1448 |
| 25/25 | ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) | 1446 |
| 26/26 | მაგნუს ლარსონი (შვედეთი) | 1353 |
| 27/27 | ანდრეი მედვედევი (უკრაინა) | 1338 |
| 28/24 | ნიკოლას კიფერი (გერმანია) | 1328 |
| 29/28 | მარკ როსე (შვეიცარია) | 1314 |
| 50/50 | ანდრე აგასი (აშშ) | 864 |

**ქალები**

| | | |
|---|---|---|
| 1/1 | მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 5688 |
| 2/2 | ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 4154 |
| 3/3 | იანა ნოვოტნა (ჩეხეთი) | 3879 |
| 4/4 | მონიკა სელეში (აშშ) | 2988 |
| 5/5 | ამანდა კუტცერი (სამხრეთ აფრიკა) | 2853 |
| 6/8 | ივა მაიოლი (ხორვატია) | 2705 |
| 7/6 | მარი პირსი (საფრანგეთი) | 2690 |
| 8/7 | არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი) | 2674 |
| 9/9 | კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) | 2484 |
| 10/10 | ირინა სპირლეა (რუმინეთი) | 2287 |
| 11/11 | ნატალი ტოზია (საფრანგეთი) | 2050 |
| 12/14 | ვინუს უილიამსი (აშშ) | 1930 |
| 13/12 | სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) | 1920 |
| 14/13 | ანკე ჰუბერი (გერმანია) | 1880 |
| 15/16 | დომინიკ ვან რუსტი (ბელგია) | 1709 |
| 16/15 | მერი ჯო ფერნანდესი (აშშ) | 1621 |
| 17/17 | აი სუგიამა (იაპონია) | 1488 |
| 18/18 | პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1459 |
| 19/19 | ლაიზა რეიმონდი (აშშ) | 1419 |
| 20/21 | საბინე აპელმანსი (ბელგია) | 1366 |
| 21/20 | რუქსანდრა დრაგომირი (რუმინეთი) | 1318 |
| 22/22 | ბრენდა შულც-მაკარტი (ჰოლანდია) | 1233 |
| 23/23 | ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) | 1230 |
| 24/24 | ანა კურნიკოვა (რუსეთი) | 1206 |
| 25/27 | ჯოანეტ კრუგერი (სამხრეთ აფრიკა) | 1158 |
| 26/25 | ბარბარა პაულუსი (ავსტრია) | 1148 |
| 27/26 | იაუკ ბაზუკი (ინდონეზია) | 1138 |
| 39/42 | სერენა უილიამსი (აშშ) | 639 |
| 45/43 | შტეფი გრაფი (გერმანია) | 563 |
| 46/45 | მირიანა ლუჩიჩი (ხორვატია) | 561 |

### ვინ რამდენი $ მოიხვეჭა 1998 წელს

| | | |
|---|---|---|
| 1. | პეტერ კორდა | 577 896 |
| 2. | მარსელო რიოსი | 296 118 |
| 3. | ევგენი კაფელნიკოვი | 252 545 |
| 4. | გრეგ რუზეცკი | 243 068 |
| 5. | კაროლ კუჩერა | 210 278 |
| 6. | იონას ბიორკმანი | 203 451 |
| 7. | პიტ სამპრასი | 188 164 |
| 8. | მარკ როსე | 182 435 |
| 9. | ტომას ენკვისტი | 169 610 |
| 10. | ალექს კორეჩა | 169 610 |
| 11. | გორან ივანიშევიჩი | 150 960 |
| 12. | ტოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია) | 144 715 |
| 13. | ფაბრის სანტორო | 144 410 |
| 14. | უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა) | 139 938 |
| 15. | მარკ ფილიპუსისი | 136 410 |
| 16. | სედრიკ პიოლინი | 132 091 |
| 17. | მარკ ვუდფორდი (ავსტრალია) | 131 687 |
| 18. | იაკო ელტინგი (ჰოლანდია) | 124 767 |
| 19. | ტიმ ჰენმანი | 123 640 |
| 20. | ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) | 110 778 |

| | | |
|---|---|---|
| 1. | მარტინა ჰინგისი | 620 029 |
| 2. | ლინდსი დევენპორტი | 330 342 |
| 3. | კონჩიტა მარტინესი | 241 716 |
| 4. | ანკე ჰუბერი | 149 212 |
| 5. | იანა ნოვოტნა | 139 787 |
| 6. | ვინუს უილიამსი | 137 175 |
| 7. | მარი პირსი | 134 667 |
| 8. | პატი შნიდერი | 133 173 |
| 9. | მირიანა ლუჩიჩი | 129 977 |
| 10. | დომინიკ ვან რუსტი | 129 977 |
| 11. | არანჩა სანჩეს-ვიკარიო | 127 763 |
| 12. | აი სუგიამა | 110 209 |
| 13. | ივა მაიოლი | 92 785 |
| 14. | ნატაშა ზვერევა | 91 458 |
| 15. | ამანდა კუტცერი | 80 144 |
| 16. | ლაიზა რეიმონდი | 78 194 |
| 17. | ანა კურნიკოვა | 72 690 |
| 18. | სანდრინ ტესტიუ | 71 128 |
| 19. | ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) | 69 189 |
| 20. | საბინე აპელმანსი | 63 359 |

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XXV ტური

6 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოხუმი — ჰამბურგი | 1,9 | 2,9 | 3,4 |
| ვერდერი — კაიზერსლაუტერნი | 2,5 | 2,7 | 2,5 |

7 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| კარლსრუე — მიონხენგლადბახი | 1,8 | 3,0 | 3,6 |
| მიუნხენ 1860 — დორტმუნდი | 2,4 | 2,8 | 2,5 |
| კიოლნი — ჰერტა | 1,9 | 3,0 | 3,3 |
| არმინია — დუისბურგი | 1,9 | 3,0 | 3,3 |
| ჰანზა — ლევერკუზენი | 2,5 | 2,7 | 2,5 |

8 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| შტუტგარტი — ვოლფსბურგი | 1,4 | 3,6 | 5,6 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| შალკე — ბაიერნი | 2,6 | 2,9 | 2,3 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. XXI ტური

6 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ზტ. პაული — ცვიკაუ | 1,3 | 4,0 | 6,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,2 |
| აინტრახტი — კოტბუსი | 1,35 | 3,8 | 6,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| კარლ ცაისი — ნიურნბერგი | 2,6 | 2,9 | 2,3 |

8 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| უნტერჰახინგი — დიუსელდორფი | 1,9 | 2,8 | 3,5 |
| ლაიპციგი — ფრაიბურგი | 3,2 | 2,9 | 2,0 |
| ურდინგენი — კიკერსი | 1,2 | 4,7 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| მეპენი — ვატენშაიდი | 2,0 | 2,9 | 3,2 |
| გიუტერსლოო — მაინცი | 1,5 | 3,6 | 4,7 |
| ფიურტი — ფორტუნა | 1,8 | 2,9 | 3,8 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XXIX ტური

7 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბლექბერნი — ბარნსლი | 1,2 | 4,7 | 8,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,0 |
| ჩელსი — ასტონ ვილა | 1,35 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,2 |
| ლივერპული — ბოლტონი | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 3,5 |
| შეფილდ უენსდეი — მანჩესტერ იუნაიტედი | 3,3 | 2,8 | 2,0 |
| საუთჰემპტონი — ევერტონი | 1,7 | 3,0 | 4,2 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXXVII ტური

7 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბერი — ნორვიჩი | 1,9 | 2,8 | 3,5 |
| ქრიუ — ნოტინგემი | 3,5 | 3,0 | 1,8 |
| იფსვიჩი — ჩარლტონი | 1,6 | 3,1 | 4,4 |
| მანჩესტერ სიტი — ოქსფორდი | 1,7 | 2,9 | 4,2 |
| რედინგი — პორტ ვეილი | 1,8 | 2,9 | 3,6 |
| სტოკი — ჰადერსფილდი | 1,9 | 2,9 | 3,3 |
| სანდერლენდი — სტოკპორტი | 1,25 | 4,2 | 7,5 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 2,7 |
| სვინდონი — პორტსმუთი | 1,9 | 3,1 | 3,2 |
| ვესტ ბრომვიჩი — ბრედფორდი | 1,8 | 3,1 | 3,5 |

### ინგლისის თასი. მეოთხედფინალი

7 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ქოვენთრი — შეფილდ იუნაიტედი | 1,2 | 4,7 | 8,0 |
| ლიდსი — ვულვერჰემპტონი | 1,3 | 3,8 | 7,0 |

8 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| არსენალი — ვესტ ჰემი | 1,6 | 3,1 | 4,7 |
| ნიუკასლი — ბირმინგემი | 1,2 | 4,7 | 8,0 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. XXVIII ტური

7 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბასტია — ოსერი | 1,7 | 2,9 | 4,4 |
| ბორდო — გინგამი | 1,3 | 4,0 | 6,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,2 |
| მონაკო — ლანსი | 1,7 | 3,0 | 4,2 |
| კანი — სტრასბური | 2,4 | 2,8 | 2,5 |
| ლიონი — ნანტი | 1,6 | 3,1 | 4,7 |
| მეცი — მარსელი | 2,0 | 2,9 | 3,2 |
| პსჟ — ტულუზი | 1,2 | 4,7 | 8,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,0 |
| შატორუ — მონპელიე | 1,9 | 3,0 | 3,3 |
| რენი — ლე ავრი | 1,9 | 2,9 | 3,4 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XXIV ტური

8 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარი — ემპოლი | 1,8 | 2,9 | 3,8 |
| ბრეშა — ლეჩე | 1,25 | 4,2 | 7,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| ფიორენტინა — პიაჩენცა | 1,2 | 4,7 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| ლაციო — რომა | 2,0 | 3,0 | 3,1 |
| მილანი — სამპდორია | 1,8 | 2,9 | 3,8 |
| ნაპოლი — ბოლონია | 3,8 | 3,2 | 1,7 |
| პარმა — ინტერი | 2,5 | 2,8 | 2,4 |
| უდინეზე — იუვენტუსი | 2,5 | 2,8 | 2,4 |
| ვიჩენცა — ატალანტა | 1,8 | 2,9 | 3,8 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XXV ტური

7 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| პადოვა — ვენეცია | 3,5 | 3,1 | 1,8 |

8 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| დი სანგრო — ლუკეზე | 1,9 | 2,9 | 3,3 |
| კალიარი — ჯენოა | 1,7 | 3,0 | 4,2 |
| კიევო — რავენა | 1,7 | 3,0 | 4,2 |
| ფ. ანდრია — მონცა | 1,8 | 3,0 | 3,6 |
| პერუჯა — სალერნიტანა | 2,1 | 2,8 | 3,1 |
| პესკარა — ფოჯა | 1,7 | 3,0 | 4,2 |
| რეჯინა — ანკონა | 1,7 | 3,0 | 4,2 |
| ტორინო — ვერონა | 1,6 | 3,1 | 4,7 |
| ტრევიზო — რეჯანა | 1,9 | 2,9 | 3,4 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXVIII ტური

7 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარსელონა — რეალი | 1,9 | 2,8 | 3,5 |

8 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| სალამანკა — ესპანიოლი | [illegible] | 2,8 | 2,6 |
| სოსიედადი — სარაგოსა | 1,45 | 3,8 | 6,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 3,0 |
| დეპორტივო — ოვიედო | 1,7 | 3,0 | 4,2 |
| სპორტინგი — სელტა | 5,0 | 4,0 | 1,4 |
| ტენერიფე — ბილბაო | 2,2 | 2,8 | 2,9 |
| მალიორკა — ვალიადოლიდი | 1,5 | 3,3 | 5,3 |
| რასინგი — კომპოსტელა | 1,6 | 3,2 | 4,4 |
| ატლეტიკო — ბეტისი | 1,7 | 3,0 | 4,2 |

9 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვალენსია — მერიდა | 1,5 | 3,3 | 5,3 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XXX ტური

8 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ეიბარი — ალბასეტე | 1,7 | 2,8 | 4,7 |
| ლას პალმასი — ტოლედო | 1,15 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 3,5 |
| ლეიდა — ვილიარეალი | 1,9 | 2,8 | 3,5 |
| ორენსე — რაიო ვალეკანო | 3,3 | 2,8 | 2,0 |
| ხაენი — ერკულესი | 4,0 | 3,1 | 1,7 |
| ხერესი — ოსასუნა | 1,9 | 2,9 | 3,4 |
| ელჩე — ლევანტე | 1,6 | 3,1 | 4,7 |
| ესტრემადურა — ალავესი | 2,2 | 2,8 | 2,9 |
| ბადახოსი — ლეგანესი | 1,9 | 2,7 | 3,6 |
| ლოგრონიესი — ატლეტიკო B | 2,4 | 2,8 | 2,5 |
| სევილია — ნუმანსია | 1,5 | 3,3 | 5,3 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. XXIV ტური

8 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| კამპომაიორენსე — ლეცა | 1,9 | 2,8 | 3,5 |
| სეტუბალი — ამადორა | 2,4 | 2,8 | 2,5 |
| გიმარაეში — ბელენენსეში | 1,1 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,2 | 4,0 |
| აკადემიკა — პორტუ | 5,0 | 3,4 | 1,5 |
| შავეში — ბოავიშტა | 2,9 | 3,0 | 2,1 |
| რიუ ავე — ვარზიმი | 1,5 | 3,4 | 5,0 |
| ფარენსე — ბენფიკა | 4,4 | 3,2 | 1,6 |
| სპორტინგი — მარიტიმუ | 1,5 | 3,3 | 5,3 |
| ბრაგა — სალგეირუში | 1,9 | 2,8 | 3,5 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი

6 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| სიტარდი — მაასტრიხტი | 1,45 | 3,5 | 5,3 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |

7 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰერენვენი — ნაიმეგენი | 1,25 | 4,2 | 7,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| ტილბურგი — გრააფსხაპი | 1,4 | 3,5 | 6,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |

8 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| გრონინგენი — ვალვაიკი | 1,6 | 3,2 | 4,4 |
| ტვენტე — აიაქსი | 5,6 | 3.6 | 1,4 |
| უტრეხტი — ეინდჰოვენი | 4,2 | 3,3 | 1,6 |
| ვოლენდამი — სპარტა | 2,5 | 3,2 | 2,2 |

### ბელგიის ჩემპიონატი

7 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| გენკი — ბრიუგე | 2,5 | 2,8 | 2,4 |
| ლიერსი — ვესტერლოო | 1,6 | 3,1 | 4,7 |
| მოლენბეკი — ჰარელბეკი | 2,9 | 3,0 | 2,1 |
| ანტვერპენი — ბევერნი | 2,4 | 3,0 | 2,4 |
| გენტი — ეკერენი | 2,5 | 2,8 | 2,4 |
| ლოკერენი — ანდერლეხტი | 2,8 | 2,9 | 2,2 |
| შარლერუა — აალსტი | 1,7 | 3,0 | 4,2 |
| მუსკრონი — ლომელი | 2,0 | 3,0 | 3,1 |
| სტანდარდი — სენტ ტრიუდენი | 1,5 | 3,5 | 4,7 |

### ავსტრიის ჩემპიონატი

7 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| აუსტრია — რაპიდი | 2,4 | 2,8 | 2,5 |
| ლუსტენაუ — ტიროლი | 2,3 | 2,9 | 2,6 |
| რიდი — ადმირა | 1,25 | 4,4 | 7,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 2,7 |
| ზალცბურგი — გრაცერი | 1,9 | 3,0 | 3,3 |
| შტურმი — ლინცერი | 1,2 | 4,7 | 8,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,0 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი. II ტური

8 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| გრასჰოპერი — არაუ | 1,5 | 3,3 | 5,3 |
| ლოზანა — სერვეტი | 1,9 | 2,9 | 3,4 |
| ლუცერნი — ციურიხი | 2,0 | 2,8 | 3,3 |
| სიონი — სენტ გალენი | 2,0 | 2,8 | 3,3 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი

7 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| დანფერმლაინი — მოზერველი | 1,8 | 3,0 | 3,6 |

### თურქეთის ჩემპიონატი. XXV ტური

6 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ქოჯაელისპორი — ბურსასპორი | 2,2 | 2,9 | 2,8 |

7 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| შექერსპორი — გალათასარაი | 5,0 | 4,0 | 1,4 |
| ბეშიქთაში — ქაისერისპორი | 1,2 | 4,7 | 8,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 3,5 |

8 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ანთალიასპორი — ისთანბულსპორი | 2,9 | 3,0 | 2,0 |
| გაზიანთეპსპორი — ტრაბზონსპორი | 5,0 | 4,0 | 1,4 |
| ფენერბაჰჩე — ქარაბუქსპორი | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 3,5 |

### ტურში გატანილი გოლები:

| | | |
|---|---|---|
| გერმანია (25-ე) | 25 და ნაკლები — 1,9 | 27 და მეტი — 1,9 |
| საფრანგეთი (28-ე) | 22 და ნაკლები — 1,9 | 24 და მეტი — 1,9 |
| იტალია (24-ე) | 23 და ნაკლები — 1,9 | 25 და მეტი — 1,9 |
| ესპანეთი (28-ე) | 26 და ნაკლები — 1,9 | 28 და მეტი — 1,9 |

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უნაცვლიშვილოდ და უსტეფანიოდ ძალიან ძნელია

ორშაბათს საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლევან მოსეშვილმა სპორტის სასახლეში პრესკონფერენცია გამართა.

— ჩამოსვლისთანავე მინდოდა, ჟურნალისტებს შევხვედროდი — თქვა ლევან მოსეშვილმა — რადგან ვთვლი, რომ გამარჯვების თუ დამარცხების შემთხვევაში ნაკრები გუნდის ხელმძღვანელობა ვალდებულია, ანგარიში ჩააბაროს საზოგადოებას. ნაკრები ხომ მარტო ერთეულების არაა, იგი ყველას ეკუთვნის.

ლევან მოსეშვილმა ვრცლად ისაუბრა ნაკრების მდგომარეობაზე, ამიტომ ჩვენ უმთავრესს გამოვყოფთ.

— რა თქმა უნდა, იტალიაში გამარჯვებას არ ვგეგმავდით. აი, ლატვიასთან კი გარკვეული იმედები გვქონდა. ლატვიის ნაკრების ასეთი ათლეტური თამაში ჩვენთვის მოულოდნელი იყო. საქმე ისაა, რომ გუნდს ახლა წარსულში ცნობილი მოთამაშე ვალდის ვალტერსი უდგას სათავეში. ვალტერსი, გარდა იმისა რომ დიდი მოთამაშეა, ძლიერი პიროვნებაცაა. თავის დროზე, როცა ის ნაკრებში მოხვდა, გომელსკის ფაქტობრივად თამაშის სტილი შეაცვლევინა და ძალიან სწრაფი კალათბურთი ათამაშა. ვალტერსის იდეებს რომ აჰყოლოდა, გომელსკის სასტარტო ხუთეულში არ გამოჰყავდა ძლიერი, მაგრამ ნელა მოძრავი ცენტრები — ტკაჩენკო და ბელოსტენნი. ჩემი ვარაუდით, ნაკრებსაც ასეთ სტილში უნდა ეთამაშა. მით უმეტეს, ჩვენ გვქონდა ლატვიის ჩემპიონ „ბროცენის" მატჩის ფირი და დავრწმუნდით, რომ ისინი ძალიან სწრაფ კალათბურთს თამაშობენ. მათგან მოულოდნელი იყო ასეთი კონტაქტური კალათბურთი. ჩვენ აშკარად მოუმზადებლები ვიყავით ასეთი თამაშისთვის. ჩვენს პირველობაზე ოდნავ მიკარებაზე ჯარიმა ინიშნება, იქ კი ნამდვილი ომი იყო გაჩაღებული.

მაგრამ ჩვენი ასეთი გამანადგურებელი მარცხების უპირველესი მიზეზი არის ის, რომ ერთობ ცუდ მდგომარეობაში ჩაგვაყენეს ჩვენმა წამყვანმა მოთამაშეებმა. ჩვენ არ გვაქვს ფართო არჩევანი და ლიდერებზე ბევრია დამოკიდებული. გუნდის ნახევარი ძალაა სტეფანია, კიდევ ნახევარი ნაცვლიშვილი. სტეფანიამ ლატვიელებთან ცოტა ითამაშა, მერე ფეხის კუნთი ატკივდა, თამაშიც აღარ დაამთავრა და სლოვენიაში გაფრინდა. ნაცვლიშვილმა მხოლოდ მოსკოვში, ლატვიაში გაფრენის წინ შეგვატყობინა, რომ ფეხი სტკივა და ნაკრებს ვერ დაეხმარება. ამასობაში ბერძენიშვილი და ჩხეიძე ველარ ჩამოვიყვანეთ: უკან დასაბრუნებელი ვიზის გაფორმებას ველარ ვასწრებდით და დავრჩით ასე ნაკლულ გუნდად. უნდა აღინიშნოს, რომ 9 კაცით ასპარეზობაზე 5 000 მარკა ჯარიმაა გადასახდელი და ჩვენს გაჭირვებულ ფედერაციას კიდევ ეს უნდოდა? იტალიელებთან კი სულაც რვანი დავრჩით და იძულებული ვიყავით, გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელი, ზაზა ცაგარეიშვილი გამოგვეწყო ფორმაში, განაცხადში რომ ყოფილიყო. ნაცვლიშვილმა გვითხრა, რომ პორტუგალიაში ჩასვლისთანავე იტკინა ფეხი. მაშინვე რომ შეეტყობინებინა, ჩვენ სხვა მოთამაშეზე დავიჭერდით თადარიგს.

გარდა იმისა, რომ თვითონ გამოგვაკლდნენ, ამ ფაქტმა ძალიან ცუდი სამსახური გაუწია გუნდს. მზადების მთელ მანძილზე ვითვალისწინებდით, რომ გვყავს ნაცვლიშვილი და სტეფანია, ისე ავაწყვეთ ყველაფერი, უმათოდ კი გუნდი დემორალიზებული იყო. მით უმეტეს, ტრავმის გამო კარგა ხანია, ქარაბაკიც არ თამაშობს.

რაც შეეხება იტალიელებთან მატჩს, აქ ნაცვლიშვილი და სტეფანია ვერ გვიშველიდნენ, მაგრამ ასე არ დავმარცხდებოდით. იტალიელები ძალიან სწრაფ, ათლეტურ კალათბურთს თამაშობენ. პირველიდან ბოლო წუთამდე თითოეული ჩვენი მოთამაშე მუდმივი წნეხის ქვეშ იმყოფებოდა, ფაქტობრივად თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალება არ ჰქონდა და ამ ომისთვის ჩვენები, როგორც ვთქვი, მოუმზადებლები იყვნენ. იტალია ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია. ალბათ, წარმოგიდგენიათ, რა პირობებში ემზადებიან: მათ ხომ უმაღლესი მომსახურება აქვთ ყველა სფეროში. ჩვენს გაყინულ დარბაზში ნავარჯიშევ ბიჭებს რა თქმა უნდა, მათი ძლევა არ ძალუძდათ.

რაც შეეხება უშუალოდ ჩვენს ნაკრებს, როგორც გითხარით, გუნდში უკანახაზელთა პრობლემაა. ოპტიმალური შემადგენლობა ჯერ კიდევ დასადგენია. ჩემი რწმენით, უკანახაზელებმა 16-18 ქულა მაინც უნდა გააკეთონ, რომ თამაში გახსნან. ჩვენებმა კი ეს ვერ შეძლეს. მუდმივი პრესინგის პირობებში ისინი ბურთსაც კარგავდნენ ხელიდან. თამაშში ოთხ-ხუთ ბურთს რომ დაკარგავ, რაზეა ლაპარაკი. ხოშტარიამ და მაისურაძემ ბევრი უნდა ივარჯიშონ. ის დონე, რომელიც მათ ეროვნულ პირველობაზე ჰყოფნით, ნაკრებში საკმარისი არაა.



ბადრი [illegible] ფოტო

ლევან მოსეშვილი, კახა შენგელია, ირაკლი მაისურაძე და პაატა გურასპაული

ამ ადგილზე არის სხვა კანდიდატებიც. ვთქვათ, მე მინდა, გამოვცადო რუსთაველი გაბისონია, რომელიც ჩინებულად თამაშობს ჩვენს ჩემპიონატში. არის აგრეთვე თორთლაძე, აბრამიძე. მოკლედ, ნაკრებში უკანახაზელთა კონკურენციაა და თითოეულმა ერთმანეთთან დავაში უნდა აიმაღლონ კლასი. რაც შეეხება ვაშაკიძეს, მიუხედავად კრიტიკისა, მაინც მიმაჩნია, რომ იგი ძლიერი მოთამაშეა. მისით ცსკა-ც დაინტერესდა, მაგრამ ეს მატჩები არც მას გამოუვიდა. იმ პირობებში, როცა ვერ ვიძახებთ უსტიაშვილს, ნაავადმყოფარია თორთლაძე, სხვა შესაძლებლობა არ გვქონდა. უკანახაზელების გასამართლებლად მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ როცა არა გვყავს სტეფანია და ნაცვლიშვილი, რომლებმაც ფარიდან ასხლეტილ ბურთებზე უნდა იბრძოლონ, შენც ვერ ისვრი ისე თამამად და ეს თამაშსაც ეტყობა. მაგრამ ამაზე უკვე მოგახსენეთ.

გუნდში მე წავიყვანე რუსთაველი ირაკლი ჯაფარიძე, რომელიც კარგად ატარებს ჩვენს ჩემპიონატს და, ჩემი აზრით, არ შევმცდარვარ. მიუხედავად იმისა, რომ მან თავისთვის უჩვეულო, მეოთხე ნომერზე ითამაშა, რადგან ცენტრში შენგელია იყო, არ დაბნეულა და ამოცანას თავი გაართვა. მჯერა, იგი კიდევ მოუმატებს თამაშს.

რაც შეეხება შენგელიას, რომელიც გუნდში დავაბრუნე, მან ბოლომდე იბრძოლა. საქმე ის არაა, რომ იგი ყველაზე შედეგიანი იყო იტალიელებთან. ის სიტუაციაში, იმ ცემა-ტყეპაში, კახამ ბოლომდე იომა, დაცვაშიც კარგად ითამაშა და რამდენჯერმე უძნელესი ბურთები დაუფარა მეტოქეებს.

საერთოდ, ამ მატჩებმა თვალნათლივ დაგვანახა ჩვენი ნაკლი. უპირველესად ჩვენი სათამაშო კონცეფციის გარდაქმნაა აუცილებელი. რაც შეიძლება მალე უნდა გადავეწყოთ ათლეტურ კალათბურთზე და ეს უნდა განვუმარტოთ მსაჯებს, მწვრთნელებსაც და მოთამაშეებსაც. ჩვენს პირველობაზე ისეთი თამაში რომ წავიდეს, რასაც ლატვიასთან და იტალიაში წავაწყდით, ნახევარი მატჩები არ დამთავრდება, რადგან ჩვენთან ყოველ მიკარებაზე შეხლა-შემოხლაა. აი, ეს დამოკიდებულება უნდა შეიცვალოს.

და უნდა ვთქვა იმის შესახებაც, რომ, რა თქმა უნდა, აუცილებელია პირობების შექმნა. ლატვიელები კვირაში 11-ჯერ ვარჯიშობენ. ჩვენ კი ყოველდღიური საათნახევრიანი ერთჯერადი ვარჯიში გვაქვს. ორჯერად ვარჯიშებს გათბობა, ცხელი წყალი და კვება სჭირდება. ბიჭებსაც უნდა ჰქონდეთ მატერიალური ანაზღაურება, რომ ვარჯიშისას ოჯახურ პრობლემებზე არ იფიქრონ. რა თქმა უნდა, მესმის, რომ ჩვენს დროში ძნელია ამის მოთხოვნა, მაგრამ სხვანაირად შორს ვერ წავალთ. კალათბურთი სპორტის ის სახეობაა, სადაც ლირს ფულის ჩადება. ამერიკელების მაგალითი აიღეთ, რა დონეზე აიყვანეს ეს თამაში. ისინი ფულს ტყუილად არ ყრიან და მაიკლ ჯორდანს იმდენს რომ აძლევენ, ე.ი. იციან რას აკეთებენ. რა თქმა უნდა, ჩვენ ნბა-ს არ ვედრებით, მაგრამ ის, რაც შეგვიძლია, უნდა გავილოთ. ახლა ყველა სახეობის წარმომადგენლები სპორტის დეპარტამენტს მისდგომია, მაგრამ რა ქნას კახი ასათიანმა, როცა მთლიანად სპორტზე 2 მილიონი დოლარია გამოყოფილი, მაშინ, როცა რუსეთის ერთ საშუალოზე დაბალი კლასის ფეხბურთელთა გუნდ, სოჭის „ჟემჩუჟინას" 6 მილიონი დოლარი აქვს ბიუჯეტი. ამიტომ სხვა ძალების ჩართვაცაა საჭირო. კი, ბატონო, ქართველი ნიჭიერია, მაგრამ ის დრო წავიდა, როცა ომარ ფხაკაძეს ტრეკი არ ჰქონდა და ისე გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, გივი ჩიქვანაიამ კი მდინარეზე ვარჯიშით მიაღწია მსოფლიოს წყალბურთელთა დონეს.

კიდევ ერთი. ალბათ, ჩვენი წამყვანი მოთამაშეები, თუ წასვლას აპირებენ, ისეთ გუნდებში უნდა წავიდნენ, სადაც კლასს აიმაღლებენ. მოსკოვის ცსკა-ს პრეზიდენტი გომელსკი და მთავარი მწვრთნელი ერიომინი დაინტერესდნენ ჩვენი კალათბურთელებით. მათ სურთ, სტეფანია თავიანთ რიგებში იხილონ. ანაზღაურების თაობაზე გომელსკიმ მითხრა, ისეთი იქნება, როგორიც არც ერთ სხვა ევროპულ გუნდში არააო. იგი სუპერკლუბის შექმნას აპირებს. სტეფანიამ უპასუხა, რომ მას იტალიური და ესპანური კლუბებისგანაც აქვს წინადადებები და სეზონის გასვლის შემდეგ თავისი აგენტის მეშვეობით დაუკავშირდება. ცსკა-ს ძალიან უნდა ვატო ნაცვლიშვილიც. რომ გაიგეს, პორტუგალიაშიაო, შეშფოთდნენ, რაიმე არასახარბიელო კონტრაქტს არ მოაწეროს ხელიო. ვატოს ვაცნობეთ ამის შესახებ, ჩვენც არ გვინდა, რომ მან პორტუგალიის სუსტ ჩემპიონატში ითამაშოს. რა თქმა უნდა, ვიცი ჩვენი ადრინდელი წარმოდგენა ცსკა-ზე და შეიძლება ბევრს არ მოეწონოს ეს ამბავი, მაგრამ ნაკრების ინტერესებიც ხომ უნდა გავითვალისწინოთ. ჯერ ერთი, ისინი ევროპის ერთ-ერთ მოწინავე კლუბში იქნებიან, საუკეთესო პირობებში და მეორეც: გამოძახება მოსკოვიდან უფრო არ გაგვიჭირდება, ვიდრე შორეული პორტუგალიიდან ან ისრაელიდან.

მიუხედავად ამ პრობლემებისა, მიუხედავად ნაკრების ასეთი უმძიმესი მდგომარეობისა, შევეცდებით, ვიბრძოლოთ ჯგუფში მეოთხე ადგილისთვის, რათა ევროპის ჩემპიონატის შემდეგ შესარჩევ ციკლში საკვალიფიკაციო ტურნირის გარეშე ჩავებათ.

პრესკონფერენციას გუნდის მეორე მწვრთნელი პაატა გურასპაული და ნაკრების წევრები — კახა შენგელია, ირაკლი ხოშტარია და ირაკლი მაისურაძეც ესწრებოდნენ.

**გურასპაული** — ასეთი სასტიკი მარცხის პასუხისმგებლობას მეც მტკივნეულად ვგრძნობ. უკანახაზელთა თამაში მე უნდა მომემზადებინა. მე თვალნათლივ დავინახე რა მხრივ უნდა წარიმართოს მუშაობა. ახლა საკმაო დროც გვაქვს და ყველანაირად ვეცდები, შემოდგომისთვის ეს ნაკლი აღმოვფხვრათ. და კიდევ ერთი — ნაკრების წევრებს, ალბათ, მეტი პასუხისმგებლობა მართებთ — მოთამაშე რომ ვყოფილიყავი, რანაირი ტრავმაც არ უნდა მქონოდა, მაინც ბიჭების გვერდით ვიქნებოდი.

**შენგელია** — ალბათ, ძლიერი ჩემპიონატის მომზადებაა საჭირო, კალათბურთელებს კი პირობები უნდა შეექმნათ. მაშინ წასულებიც დაბრუნდებიან და კლასიც ამაღლდება, მაგრამ ეს ჯერ ოცნებას ჰგავს.

**ხოშტარია** — რაც კახამ თქვა, სასურველია, მაგრამ ჯერჯერობით ამის პირობები არ ჩანს. ერთადერთ გამოსავალს საზღვარგარეთ წასვლაში ვხედავ, იმიტომ კი არა, რომ საქართველოდან შორს მინდა ყოფნა, ვარჯიშისთვის ელემენტარული პირობების მოსაპოვებლად, კლასი რომ ავიმაღლო და ნაკრებს გამოვადგე. ძალიან ცუდად იმოქმედა ჩვენზე სტეფანიასა და ნაცვლიშვილის არყოფნამ, თანაც მართლა ისეთ ათლეტურ თამაშში, როგორიც წინა სამი მატჩი იყო. ამისთვის მზად არ ვიყავით, თორემ ჩვენ არანაკლებ ვიცით, რა არის ეროვნული ნაკრების მაისურით გამოსვლა.

**მაისურაძე** — მოულოდნელი იყო მეტოქეთა ასეთი თამაში. იტალიელების წინააღმდეგ ისეთი განცდა მქონდა, თითქოს მეტოქეს 9 კაცი ჰყავდა მოედანზე. დავინახე, რომ უფრო მეტი მონდომება და ვარჯიშია საჭირო და ყველაფერს გავაკეთებ, რომ შემოდგომაზე შეხვედრებს უფრო მომზადებული შევხვდე.

შემოდგომაც, შორს რომ გვგონია, ძალიან მალე მოვა...

**ილია მხეიძე**

რეგულარული ჩემპიონატი

## ახალგაზრდა ჯადოქარი ჩაქრა

2 მარტი

**საკრამენტო 95:116 სან ანტონიო**
**საკრამენტო:** რიჩმონდი (21)
**სან ანტონიო:** დანკანი (29+17 მოხსნა), რობინსონი (22)

საკრამენტოს დანკან-რობინსონის დუეტმა მოუგო. მათ სან ანტონიოს პირველი 14 ქულა მიითვალეს, მეოთხედი კი 8 ქულით მოიგეს. გაილაღეს მესამეშიც — გუნდს 9-9 ქულა შემატეს. ამავე დროს რობინსონმა საკრამენტოელ მეფეებს ოთხჯერ დაუფარა (მატჩში სულ 7 დაფარება). მათი წყალობით სან ანტონიომ ბოლო მეოთხედი 82:66-ით დაიწყო.

**დეტროიტი 100:94 დალასი**
**დეტროიტი:** ჰილი (35), სტეკჰაუზი (20)
**დალასი:** სებალოსი (21), ფინლი (21)

დეტროიტმა მატჩი ცუდად დაიწყო, მაგრამ შემდეგ გამოასწორა თამაში, რაც გრანტ ჰილის დამსახურებაა, რომელიც ამ დღეს ზუსტად ისროდა. ექსფინიქსელმა, ამჟამად დალასელმა სედრიკ სებალოსმა, რომელიც ფინლისთან ერთად ტეხასელთაგან ყველაზე შედეგიანი იყო, 18 საჯარიმოდან ერთადერთი გააფუჭა, მაგრამ მასაც და ფინლისაც მთელი შრომა წყალში ჩაეყარათ.

**შარლოტი 112:83 გოლდენ სტ.**
**შარლოტი:** გეიგერი (29)
**გოლდენ სტეიტი:** ჯექსონი (24)

შარლოტის ლიდერი გლენ რაისი, რომელიც თამაშში საშუალოდ 22,6 ქულას აგროვებს და ბომბარდირთა სიაში მეხუთეა, გოლდენ სტეიტთან 9 ქულას დასჯერდა. სამაგიეროდ, ლიდერის როლი მეტ გეიგერმა იტვირთა და კარიერაში ყველაზე მეტი, 29 ქულა გააკეთა. გეიგერი სასტარტო ხუთეულში ვლადე დივაცის ფეხის ტრავმის შემდეგ დამკვიდრდა. თვითონ დივაცმა კი მტკივანი ფეხი მოირჩინა და თავის გუნდს 10 ქულითა და 10 მოხსნით წაეხმარა.

**ვაშინგტონი 96:86 ლეიკერსი**
**ვაშინგტონი:** უებერი (31+10 მოხსნა +8 პასი), ჩინი (21)
**ლეიკერსი:** ონილი (28+15 მოხსნა), ჯონსი (19+11 მოხსნა)

შაკილ ონილის ლეიკერსმა კვირას ფაქტობრივად ცენტრის გარეშე დარჩენილ ნიუ იორკთან 12 ქულით დათმო შეხვედრა და ამას ასევე თითქმის უცენტრო ვაშინგტონთან მარცხი დაურთო. 19 წლის ლეიკერსელმა კობი ბრაიანტმა, რომელიც „ოლ სტარის" მატჩში სასწაულებს ახდენდა, ვაშინგტონთან 4 ქულა იკმარა.

3 მარტი

**ნიუ იორკი 94:91 ნიუ ჯერსი**
**ნიუ იორკი:** ჯონსონი (23), ჰიუსტონი (20)
**ნიუ ჯერსი:** კასელი (19+10 პასი)

ნიუ-ნიუს, ანუ ნიუ იორკისა და ნიუ ჯერსის შეხვედრაში მასპინძლებმა უკვე ზედიზედ მესამედ იმარჯვეს და სტუმრებს ასევე ზედიზედ მესამე, ბოლო რვა თამაშში კი მეექვსე მარცხი აგემეს. ზამთარ-გაზაფხულის გასაყარზე ნიუ ჯერსიმ დივიზიონის პირველ გუნდ მაიამისთან ზედიზედ ორჯერ წააგო, რასაც ნიუ იორკთან მარცხიც მოაყოლა. ამ უკანასკნელს ნიუჯერსელები, ალბათ, იმას დააბრალებენ, ოლსტარელი ჯეისონ უილიამსი დაგვიშავდაო. იგი მეორე მეოთხედში მართლაც დაშავდა, თუმცა გუნდს უმისოდაც შეეძლო მოგება, მაგრამ 92:91-ზე, მატჩის დასრულებამდე 27 წამით ადრე სემ კასელმა სამქულიანი ააცილა.

**მინესოტა 99:110 დალასი**
**მინესოტა:** გარნეტი (22+11 მოხსნა)
**დალასი:** სებალოსი (22)

სამხრეთულმა დალასმა თავის ჩრდილოელ მეტოქეს პირველი ნახევარი 12 ქულით მოუგო, მეორეში კი მთელი ძალები ამ უპირატესობის შენარჩუნებას მოახმარა. დალასელთაგან საუკეთესო კვლავ სედრიკ სებალოსი იყო.

**ტორონტო 93:108 იუტა**
**ტორონტო:** ბილაპსი (26), უოლესი (21), კრისტი (20)
**იუტა:** ანდერსონი (26), მელოუნი (24+10 მოხსნა), რასელი (21)

**ჩიკაგო 118:90 დენვერი**
**ჩიკაგო:** ჯორდანი (30), პიპენი (24)
**დენვერი:** ფორსტონი (26), ელისი (20)

დენვერმა ზედიზედ მეთორმეტედ წააგო.

**პორტლენდი 98:93 ფინიქსი**
**პორტლენდი:** რაიდერი (33)
**ფინიქსი:** კიდი (23+11 მოხსნა)

ინდიანასთან ისტორიული მარცხის შემდეგ პორტლენდი ბოსტონშიც შერცხვა და ახლა ფინიქსთან წარუმატებლობის შემთხვევაში არც მწვრთნელს და არც მის შეგირდებს კარგი დღე არ დაადგებოდათ, ამიტომ თავი არ დაზოგეს. ეს განსაკუთრებით რაიდერზე ითქმის. ფინიქსელ ჯეისონ კიდს შეეძლო ეს დღეც ჩაეშხამებინა პორტლენდისთვის — მას სამმაგ დუბლამდე ორი პასი დააკლდა. ბოლო 50 წამში კიდის ორი სამქულიანის წყალობით ფინიქსმა ჩამორჩენა 3 ქულამდე შეამცირა, მაგრამ აიზია რაიდერის ორმა ზუსტმა საჯარიმომ ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა.

**ვანკუვერი 103:111 ინდიანა**
**ვანკუვერი:** აბდურ-რაჰიმი (27), რივზი (21)
**ინდიანა:** სმიტსი (26), ა. დევისი (22), მილერი (20)

**ჰიუსტონი 107:97 კლიპერსი**
**ჰიუსტონი:** დრექსლერი (24+11 პასი), უილისი (21), ოლაჯუონი (18+15 მოხსნა)
**კლიპერსი:** როჯერსი (27), ოსტინი (16+12 მოხსნა)

„ჰიუსტონ როკეტსის" სუპერცენტრმა ჰაკიმ ოლაჯუონმა ჰიუსტონის რიგებში 1003-ე თამაში ჩაატარა და ამ გუნდის რეკორდსმენ კელვინ მერფის ერთით გადაუსწრო. მატჩის პირველ მეოთხედში ჰიუსტონში შეცვლაზე შესულმა ბარკომ მოედანზე სამი წუთი დაჰყო. პირველი მეოთხედის დამთავრებამდე 41,2 წამით ადრე მან მატჩის არბიტრს შარი მოსდო, უილისი რატომ დააჯარიმეო, რითაც ორი ტექნიკური ჯარიმა მოიმკო და მოედნიდან კვლავ სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა. სულ ეს იყო, რისი გაკეთებაც მან შეძლო...

**მაიამი 91:97 სიეტლი**
**მაიამი:** მურნინგი (20+14 მოხსნა), ჰარდევეი (20+11 პასი)
**სიეტლი:** შრემპფი (18), ჰოკინსი (18)

მაიამი ძირითადი დროის ამოწურვამდე 4,43 წუთით ადრე 83:78 იგებდა, მაგრამ შრემპფმა და ბეიკერმა ზუსტი სროლებით სხვაობა გაქვითეს — 83:82. მერე კი ჰერსი ჰოკინსმა 2,08 წუთით ადრე ორიდან ერთი საჯარიმო ჩააგდო, რის შემდეგაც ქულა არ გაკეთებულა და მატჩი ოვერტაიმში გაგრძელდა. აქ კი გერი პეიტონმა, ვინაც ამ მატჩში სულ 12 ქულა მიითვალა, ზუსტი სამქულიანით ანგარიში 91:89 გახადა, რაც მაიამის მარცხის დასაწყისი აღმოჩნდა. წყნარი ოკეანის დივიზიონის ლიდერმა სძლია ატლანტის დივიზიონის ლიდერს, რითაც შეაწყვეტინა ათმატჩიანი მოგებების სერია.

**ირაკლი ფირაშვილი**



მაიამი — სიეტლი. სიეტლელმა ჰოკინსმა (33) თანაგუნდელის მილოცვა დაიმსახურა

NHL

რეგულარული ჩემპიონატი

# არა კაც კლა!

**კოლორადო 4:5 ედმონტონი**

**შაიბები: გერინი 14(0:1), ფრეზერი 3(0:2), კრუპი 7(1:2), მილერი 2(2:2), დონოვანი 7(3:2), დიდმარში 17(4:2), უეიტი 21(4:3), გერინი 15(4:4), ფრეზერი 4(4:5)**

ამ ორი გუნდის შარშანდელი საპლეიოფო დაპირისპირება მეტად საინტერესო იყო — მას შემდეგ, რაც „ეველანშმა" რის ვაი-ვაგლახით მოუგო მეტოქეს, ბევრმა ახალგაზრდულ ედმონტონს აღმასვლა უწინასწარმეტყველა. მაგრამ წლეულს, განსაკუთრებით, ჩემპიონატის დასაწყისში, „მენავთობეები" შეფერხდნენ, მეტადრე კოლორადომ გაუმწარა მათ სიცოცხლე. საბოლოოდ კანადელებმა ნავსი გატეხეს და ეს უაღრესად საინტერესო ბრძოლაში მოახერხეს. მეორე პერიოდში ყინულზე მოვლენები საოცარი სისწრაფით განვითარდა: ჯერ იყო და, სტუმრები დაწინაურდნენ, მაგრამ შემდეგ კოლორადოელები, რომლებმაც წინა თამაშშიც ვერ გაიტანეს, გაცხარდნენ და მაშინ, როცა დიდმარშმა ფორსბერგის (2 პასი) ზუსტი გადაცემის შემდეგ კიდევ ერთი შაიბა შეაგდო, ბევრმა საქმე მოთავებულად ჩათვალა. თუმცა ამჯერად ედმონტონი ერთობ მობილიზებული იყო და ამ გოლის შემდეგ 7 წამში სხვაობა მინიმალური გახადა, 48-ე წუთზე კი გერინმა თავისი მეორე გოლი გაიტანა. ოვერტაიმის მე-11 წამზე ახალგაზრდა სკოტ ფრეზერმა, რომლის ანგარიშზეც ამ მატჩამდე მხოლოდ 2 გოლი იყო, მოულოდნელი გარღვევა განახორციელა და გამოცდილი პატრიკ რუა მოატყუა. სხვათა შორის, კოლორადოელთა მეკარე თავის მე-700 მატჩს ატარებდა.

**2 მარტი. პიტსბურგი — ტორონტო 3:1, რეინჯერსი — ბუფალო 0:1, ნიუ ჯერსი — ფილადელფია 4:3, ფინიქსი — დეტროიტი 1:3, სან ხოსე — კაროლინა 1:3, ლოს ანჯელესი — ვანკუვერი 2:2**

**3 მარტი. აილენდერსი — ფილადელფია 3:1, ვაშინგტონი — ბოსტონი 0:3, სენტ ლუისი — ჩიკაგო 5:3, კალგარი — ტამპა 2:1**

წლეულს ჩრდილოამერიკელი ლეგიონერები ერთგვარი შურითა და აღტაცებით შეჰყურებენ თავიანთ ევროპელ პარტნიორებს, რომელთაც ნაგანოს ტრიუმფს ნჰლ-ის წარმატებებიც დაუმატეს — იაგრი, ფორსბერგი და სელიანე ბომბარდირთა სიას ლიდერობენ, შვედი ლიდსტრიომი და რუსი ზუბოვი კი ყველაზე გამორჩეული მცველები არიან. ყოველივე ამას დომინიკ ჰაშეკის ჩინებული თამაში აგვირგვინებს, რომელიც, შესაძლოა, ამ სეზონშიც ჩემპიონატის MVP გახდეს. ჩეხი მეკარე დეკემბერსა და თებერვალში ლიგის საუკეთესო ჰოკეისტად აღიარეს, აგერ, მარტში კი ორი საუცხოო სანახაობა გვაჩუქა: ჯერ იყო და, ვაშინგტონი მშრალზე დატოვა, ახლა კი სახელოვანი „რეინჯერები" — გრეცკი, ლიჩი და კომპანია არ გაახარა. ამჯერადაც, ისევე როგორც ნაგანოს ფინალში, ჰაშეკის პარტნიორებმა (ეიტნიკი) ერთადერთი გოლი გაახერხეს, სამაგიეროდ, დანარჩენი ჩეხმა თავად იკისრა — ბოლო ხუთ წუთში ბუფალოს მეკარემ, რომელმაც სეზონში სარეკორდო, მე-9 „შათაუტი" მიითვალა, ბრაიან ლიჩის სამი უძლიერესი დარტყმა მოიგერია და თავისი თანაკლუბელის, ჰეტ ლაფონტენის შეტევა სასწაულებრივად შეაჩერა. თვით უეინ გრეცკიმ, რომლის გუნდმაც აგერ უკვე მესამედ ვერ მოძებნა გზა „დომინატორის" კარისკენ, აღნიშნა, რომ ჰაშეკი საუკეთესოა, ბუფალომ კი 13 თამაშამდე გაზარდა თავისი ხეირიანი სერია. რაც შეეხება რეინჯერსს, მისი ახალი მწვრთნელი ჯონ მაკლერი ლაფონტენსა და სხვებზე ნაკლებ როდი ლამობდა, თავისი ყოფილი კლუბი გაემწარებინა, მაგრამ ამაოდ.

სამაგიეროდ, ფილადელფიელი მეკარის — რონ ჰექსტოლის შეცდომა მეტად ძვირად დაუჯდა მის კლუბს. ნიუ ჯერსისთან შეხვედრაში ფილადელფიელებმა თითქმის შეუძლებელი შეძლეს. მას შემდეგ, რაც პირველ 73 წამში „ეშმაკებმა" როლტონმა (2+0,14) და მაკეიმ დააწინაურეს თავისიანები, ინიციატივა სტუმრებმა იგდეს ხელთ და, მიუხედავად იმისა, რომ მეორე პერიოდის მიწურულს ანგარიში უკვე 3:0 იყო, არ შედრკნენ — ექს-ვანკუვერელ სილინჯერის (1+1,11) ძალისხმევით მათ სამშაიბიანი სხვაობა გაქვითეს, რაც ნიუ ჯერსისთან შეხვედრაში გმირობის ტოლფასია. მაგრამ 54-ე წუთზე ჰექსტოლმა უყურადღებოდ მიატოვა კარი, რითაც სტივ თომასმა ისარგებლა, მეორედ მოპოვებული უპირატესობა კი „ეშმაკებმა" ხელიდან აღარ გაუშვეს. აღსანიშნავია, რომ თომას — კარპენტერ — როლსტონის „ჩეკინგ-ლაინს" ამ თამაშში ლინდროსის სამეულის განეიტრალება ევალებოდა და მასპინძელთა ტრიომ საუცხოოდაც გაართვა ამ ამოცანას თავი. ახლა ნიუ ჯერსი, რომელმაც ამ სეზონში სამივე მატჩი მოუგო კონკურენტს, უკვე 13 ქულით უსწრებს მეტოქეს, ხოლო ამ მარცხით გულგატეხილი ფილადელფია ვერც აილენდერსს შეებრძოლა და ბოლო 9 შეხვედრაში მე-7-ედ დამარცხდა. ნიუიორკელთაგან ევროპელები გამოირჩნენ: პალფიმ (1+1,33) და რაი-ჰელმა (1+1,22) ორჯერ კომბინაცია გაითამაშეს, ერთიც რუსმა ნემჩინოვმა დაამატა.

სულ რამდენიმე დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ლიგამ უხეშობას სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა და გუნდების მწვრთნელებიც მსაჯთა გადამეტებული სიმკაცრით უკვე უკმაყოფილებას გამოთქვამენ. ლოს ანჯელესისა და ვანკუვერის შეხვედრაში არბიტრებმა 9-9-ჯერ დატოვეს მეტოქეები უმცირესობაში, რამაც სათანადო რეაქცია გამოიწვია: „როდემდე გაგრძელდება ეს სირცხვილი? არა მგონია, ამით თამაში გაუმჯობესდეს" — თქვა ლოს ანჯელესის თავკაცმა ლარი რობინსონმა. მას ვანკუვერელი კინენიც დაეთანხმა, აქაოდა, ხშირი ჯარიმები თამაშის ტემპს აგდებსო. თუმცა რობინსონს საწუწუნო რა აქვს, როცა მისმა გუნდმა ორივე გოლი რიცხვმრავლობაში გაიტანა, რის შემდეგაც ვანკუვერი ახალბედების — სკაჩარდისა (11) და ოლუნდის კომბინაციამ იხსნა.



დეტროიტელი დერენ მაკარტი (25) ფინიქსელებმა უმეთვალყურეოდ დატოვეს და...

თავის მეორე მატჩში დეტროიტელმა ფიოდოროვმა გახსნა პირადი ანგარიში, თანაც ეს შაიბა გადამწყვეტი გამოდგა ფინიქსთან შეხვედრაში. აღსანიშნავია, რომ „კოიოტები" ბოლო მატჩებში კრიზისს განიცდიან, მხოლოდ 53-ე წუთზე შეწყვიტა რენიკმა (18) კლუბის 226-წუთიანი მშრალი სერია.

პიტსბურგისა და ტორონტოს ორთაბრძოლაში ყველაფერი პირველ ხუთ წუთში გაირკვა, როცა ოთხივე გოლი გავიდა. სასიამოვნოა, რომ მთავარი „პინგვინის", იაგრის ტრავმა, რომელიც მან წინა მატჩში მიიღო, სერიოზული არ აღმოჩნდა და ჩეხმა (1 პასი) არც ამჯერად დატოვა მოედანი უქულოდ. მისმა თანამემამულე პარტნიორმა სტრაკამ 2 პასი მიითვალა.

ახალგაზრდა ჯეიმი ელისონმა დაამტკიცა ბოსტონის მესვეურთა არჩევანის სისწორე, როცა შარშანდელი სეზონის „დედლაინზე" იგი სახელოვან ოუთსში გაცვალეს. თავის ყოფილ გუნდთან, ვაშინგტონთან შეხვედრაში ელისონს ძალიან უნდოდა თავის გამოჩენა და მოახერხა კიდეც. მან სამსონოვთან (1+1,13) და ხრისტიჩთან (3 პასი) ერთად გადაწყვიტა მატჩის ბედი და თავადაც 2 გოლი (სულ — 24) და 1 პასი გააზერხა. ელისონი 62 (24+38) ქულით „დათვების" საუკეთესო ბომბარდირია და ჩემპიონატშიც მე-8 ადგილზე გადაინაცვლა.

სენტ ლუისმა ძირითადი მეკარის გრანტ ფიურის არყოფნაში თავდასხმაში განსაკუთრებით იაქტიურა და 3 მატჩში 16 გოლი გაიტანა. ერთობ კარგად გამოიყურებოდა მეორე სამეულის ცენტრი, სლოვაკი პავოლ დემიტრა (1+2,19), რომელმაც ამჯერად მთავარი გამთამაშებელი პიერ ტარჯონი დაჩრდილა.

გამოჯანმრთელებულმა კაროლინელმა ვეტერანმა გერი რობერტსმა 3(2+1) ქულით განაპირობა თავისი კლუბის გამარჯვება სან ხოსეში.

**სამველ ლარიბიანი**

## ისევ ჩეხი: ტურეკის თებერვალი

27 წლის რომან ტურეკმა მხოლოდ წლევანდელ სეზონში მოიკიდა ფეხი დალასში. სახელოვანი ედ ბელფორის შეძცვლელი საჭირო შემთხვევაში მეტად საიმედოდ იცავს „ვარსკვლავთა" კარს და ამის დასტური თებერვალში ჩატარებული 2 მატჩის შედეგიც გახლავთ. ერთი „შათაუტითა" და 2 გაშვებული შაიბით ტურეკმა თვის საუკეთესო მოთამაშის წოდება დაიმსახურა. შეგახსენებთ, რომ ჩეხმა მეკარემ ნაგანოში ოქროს მედალი მოიპოვა თავისი ნაკრების შემადგენლობაში.

ლიგის ერთ-ერთი გამორჩენილი თავდამსხმელი, ანაჰაიმელი პოლ კარია, შესაძლოა, წლეულს ველარ დაეხმაროს თანაკლუბელებს. მას შემდეგ, რაც 1 თებერვალს იგი ჩიკაგოელმა სუტერმა დააშავა, კარიას მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. თვით ჰოკეისტის თქმით, ტვინის შერყევის გამო ხანდახან ისე ცუდად გრძნობს თავს, არ იცის, შეძლებს თუ არა თამაშს.

## ეს საწყალი კარია

კარიას გარდა, ლოს ანჯელესი 6-8 კვირით თავის ერთ-ერთ საუკეთესო ბომბარდირს ლუკ რობიტაილს მოისაკლისებს. 32 წლის ფორვარდმა, რომელსაც 12 სეზონის განმავლობაში 6 თამაშზე მეტი არ გამოუტოვებია ზედიზედ, ტრავმის გამო 3 მატჩში ვერ ითამაშა და, როგორც იქნა, დათანხმდა ოპერაციაზე.

დალასის რიგებს კი ერთბაშად ოთხი წამყვანი მოთამაშე გამოაკლდა. სერგეი ზუბოვისა და დერიან ჰეჩერის ტრავმები დიდი დანაკლისია გუნდის დაცვისთვის. ამათ გარდა, სამკურნალონი არიან თავდამსხმელები დეივ რიდი და ბობ ბასენი.

## კარგია მუდამ მტრიანი...

სანამ ნჰლ-ის საუკეთესო ჰოკეისტები ნაგანოში ეროვნული ნაკრებების ღირსებას იცავდნენ, ლიგის ხელმძღვანელებმა საგანგებო სხდომა ჩაატარეს და შედეგიანობის კლების ერთობ სახიფათო ტენდენციაზე იმსჯელეს. ამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ეგრეთ წოდებული „მცირე ჯარიმების" ტაქტიკაა. ასეთ სათამაშო ყაიდას, რომლის მიზანიც მცირე დარღვევების ხარჯზე მეტოქის საუკეთესო მოთამაშეების შებოჭვა და მწყობრიდან გამოყვანაა, ნჰლ-ში სულ უფრო მეტი გუნდი მიმართავს. ცხადია, ამგვარი სტილი, უპირველეს ყოვლისა, უფერული, საშუალო კლასის ჰოკეისტებით დაკომპლექტებულმა კლუბებმა აითვისეს და ამან ძალიან იმოქმედა თამაშის სანახაობრივ მხარეზე. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მსაჯებს შესაბამისი მითითებები მიეცათ უხეშობასთან საბრძოლველად და, როგორც ოლიმპიადის შემდეგ პირველმა თამაშებმა აჩვენა, ისინიც კეთილსინდისიერად ასრულებენ ამ მოთხოვნებს. ამის გამო საშუალოდ ერთ მატჩში ორივე მხარეს რიცხვმრავლობის გამოყენების 12-15 შესაძლებლობა ეძლევა და ეს, რა თქმა უნდა, შედეგიანობასაც გაზრდის. რაც მთავარია, თავად ჰოკეისტები კმაყოფილნი არიან: როგორც პიტსბურგელმა იაგრმა აღნიშნა, ასე თავისუფლად, განსაკუთრებით, მოედნის შუაგულში, მას კარგა ხანია არ უთამაშია. თუმცა საქმე ის არის, როდემდე შეინარჩუნებენ მსაჯები თავიანთ პრინციპულობას.

ნაგანო 98

## რუსები ამბობენ და იხდიან

რუსებმა ნაგანოს ოლიმპიადის გამარჯვებულებს თოვლიან გზებზე გარჯა არ დაუვიწყეს და დაჯილდოება-წახალისებამაც არ დააყოვნა. იაპონიაში ოქროს მედლების ლომის წილი არმიაში მომსახურე სუსტი სქესის წარმომადგენლებზე მოდიოდა, რომელთაგან ბარის მოთხილამურე ლარისა ლაზუტინა და ბიათლონისტი გალინა კუკლევა ლეიტენანტებად დააწინაურეს, ელენა ვიალბეს კი მალე ბატალიონსაც ჩააბარებენ — ეს ქალბატონი მაიორი გახდა. გარდა ამისა, რუსეთის ნაკრების მთავარმა სპონსორმა — „ონექსიმბანკმა" ნაგანოელებს გვარიანი მწვანეებიც მიუთვალა — 50, 30 და 20 ათასი დოლარი შესაბამისად ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლებისთვის. ოლიმპიადის სამგზის ჩემპიონს — ლაზუტინას კი ესეც არ აკმარეს და ბორის ელცინმა რუსეთის ფედერაციის უმაღლესი ჯილდო — გმირის ოქროს ვარსკვლავი პირადად გადასცა.

მშენებლობა დიზაინი რეკლამა

აკაცია Acacia

ჰორიზონტალური და ვერტიკალური ჟალუზები
დამცავი ჟალუზები
მარკიზები

ფასები გაგაკვირვებთ

ყაზბეგის 42 ტელ 375281 294840

e-mail dato@acacia.postnet.ge



ევროპის ჭარბევეშა ჩემპიონატი

რბენა 60 მეტრზე ბარიერებით

კაცები

1. იგორ კაზანოვი (ლატვია) 7,54 წამი; 2. ტომაშ ნაგაჩევსკი (პოლონეთი) 7,56; 3. მაიკ ფენერი (გერმანია) 7,58; 4. ჟონათან ნსენგა (ბელგია) 7,59.

ქალები

1. პატრისია ჟირარი (საფრანგეთი) 7,85 წამი; 2. სვეტლანა ლაუხოვა (რუსეთი) 8.01; 3. დაიენ ალაგრინი (ინგლისი) 8,02; 4. ანა ლეშჩინსკა (პოლონეთი) 8,15.

სიგრძეზე ხტომა

ქალები

1. ფიონა მეი (იტალია) 6,91; 2. ტატიანა ტერ-მესროპიანი (რუსეთი) 6,72; 3. ლინდა ფერგა (საფრანგეთი) 6,67; 4. მაგდალენა ხრისტოვა (ბულგარეთი) 6,60.

3000 მეტრზე რბენა

ქალები

1. გაბრიელა შაბო (რუმინეთი) 8:49,96; 2. ფერნანდა რიბეირო (პორტუგალია) 8:51,42; 3. მარტა დომინგესი (ესპანეთი) 8:57,72; 4. ელენა ჩელნოვა (ლატვია) 9:00,78.

200 მეტრზე რბენა

ქალები

1. სვეტლანა გონჩარენკო (რუსეთი) 22,46 წამი; 2. მელანი პაშკე (გერმანია) 22,50; 3. კატერინა კოფა (საბერძნეთი) 22,86; 4. ბრიგიტ როკმეიერი (გერმანია) 23,24.

800 მეტრზე რბენა

კაცები

1. ნილს შუმანი (გერმანია) 1:47,02; 2. მარკო კოერსი (ჰოლანდია) 1:47,20; 3. ვებიორნ როდალი (ნორვეგია) 1:47,49; 4. ჯეიმს ნოლანი (ირლანდია) 1:47,81.

ქალები

1. ლუდმილა ფორმანოვა (ჩეხეთი) 2:02,30; 2. მალინ ევერლოფი (შვედეთი) 2:03,61; 3. იუდიტ ვარგა (უნგრეთი) 2:03,81; 4. სტელა იონგმანსი (ჰოლანდია) 2:03,82.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
სარედაქციო კოლეგია: ილია ბაბუნაშვილი, ვახტანგ ბზიკაძე, ზურაბ მეძველია
ფეხბურთის განყოფილება: ლაშა გოლუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, ონისე შინჯიკაშვილი
სხვა სახეობათა განყოფილება: გიო ახვლედიანი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი ლონდონში დავით მჭედლიშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი: ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29